# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 25 ნოემბერი, 2014 წელი.

№238 (7618)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



## ქართველი ემიგრანტები საქართველოს ხელისუფლებას საკანონმდებლო ინიციატივებით მიმართავენ

②

## „საინვესტიციო დესანტი“ კოლხეთში

⑪

## პროექტები, რომლებმაც ქართული სოფელი უნდა გააძლიეროს

⑦

## შეაჩერებს ვინმე კატასტროფას ენგურის ხეობაში?!

③



## „ისლამური სახალიფო“ – ანგარიშგასაწევი ძალა

⑤

# SIC! ანექსია!

### რუსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკას შორის შეთანხმება გაფორმდა

რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკას შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორიობის შესახებ“ ე.წ. შეთანხმებას მოეწერა ხელი.

რუსული მედიის ცნობით, შეთანხმებას ხელი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ მოაწერეს.

„იტარ-ტასის“ ინფორმაციით, შეხვედრაზე აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა მნიშვნელოვან სირთულეებს და დღეს ამ შეთანხმების ხელმოწერით აფხაზეთი ახალ ფაზაში გადადის.

როგორც შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთი აფხაზეთისთვის გაწეულ ფინანსურ დახმარებას გააორმაგებს.

„იტარ-ტასის“ ცნობით, შეთანხმება 10 წლის ვადით გაფორმდა მისი ხუთწლიანი გახანგრძლივების პერსპექტივით.

შეთანხმებაში „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ შემდეგი პრიორიტეტებია ასახული: „კოორდინირებული საგარეო პოლიტიკის განხორციელება“; „საერთო თავდაცვის და უსაფრთხოების სივრცის“, „საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის“ შექმნა, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დახმარება და ა.შ.

„კოორდინირებული საგარეო პოლიტიკის განხორციელების“ ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, რუსეთი გააგრძელებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების კუთხით მუშაობას და შეეცდება გააფართოოს იმ ქვეყნების სია, რომლებიც ოკუპირებული აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ. ამასთან, შექმნიან შესაბამის პირობებს იმისათვის, რომ აფხაზეთი გაწევრიანდეს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებში.

„საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების სივრცის“ ფარგლებში იგულისხმება რუსეთისა და აფხაზეთის ერთიანი სამხედრო ძალების შექმნა, რომლის მიზანი იქნება ნებისმიერი შეიარაღებული აგრესიის მოგერიება; დოკუმენტის ეს პუნქტი ასევე ითვალისწინებს ერთობლივ ზომებს აფხაზეთის ე.წ. საზღვრების დასაცავად.

დოკუმენტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილე ერთი მხარის წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოს, ან სახელმწი-



ფოების ჯგუფის მხრიდან განხორციელდება შეიარაღებული თავდასხმა, ეს განხილული იქნება, როგორც შეთანხმების მონაწილე მეორე ქვეყანაზე თავდასხმად. ასეთ შემთხვევაში, ერთი მხარე მეორეს გაუწევს საჭირო დახმარებას, მათ შორის სამხედროს.

დოკუმენტის თანახმად, იგეგმება კოორდინირებული ქმედებები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, ასევე ერთობლივ საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნა დავალებების შესასრულებლად.

აღნიშნული დოკუმენტის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 წელიწადში, მოხდება კომპლექსური ღონისძიებების რეალიზაცია საბაჟო სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია მიიღებს დამატებით ზომებს, რომელიც მიმართული იქნება ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურების გამარტივებისკენ.

შეთანხმების მიხედვით, 1 იანვრიდან, 3 წლის განმავლობაში, რუსეთის ფედერაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეების პენსიონერულ უზრუნველყოფას განახორციელებს და ისინი იმავე რაოდენობის პენსიას მიიღებენ, რაც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

შეთანხმება განსაზღვრავს ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობასაც. მათ შორის არის ის, რომ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკა ქმნის აუცილებელ პირობებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების სამედიცინო დაზღვევისთვის.

ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, რომელიც განათლების სფეროს ეხება, რუსეთი აფხაზეთს დახმარებას გაუწევს აფხაზური ენის განვითარების პროგრამების რეალიზებაში.

*ასეთია აფხაზეთის ანექსიის „დამაგვირგვინებელი დოკუმენტი“, რომელსაც არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს. საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა პუტინის ხელისუფლების ყოველდღიურ ნორმად იქცა. „გულუბრყვილო“ ამერიკას და ევროპას კი ჰგონია, რომ ეკონომიკური სანქციებით რუსეთს უკან დაახევინებენ, არადა, სწორედ დასავლეთის ჯიბრზე პუტინი საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას ფეხქვეშ თელავს!*

*ამ დოკუმენტზე ხელმოწერა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს აბუჩად აგდებაა.*

*არადა, ისტორიის კალენდარზე XXI საუკუნეა!*

◉ დღის ამოჩაზურიდან

## ქებნილი ექს-პრეზიდენტის ნაპირველლედარი ცოლი გაქრობას გვიწინასწარმეტყველებს

– საქართველო სახელმწიფოდ თურმე მიშა სააკაშვილსა და კახა ბენდუქიძეს უქცევიათ.

– ეგ ვინ ისიბრძნა?

– ძებნილი ექს-პრეზიდენტის მეუღლემ, რომელმაც მიშიკოს გამოსამშვიდობებელი წერილიც ჩამოიტანა და „რუსთავი-2“-მა დიდის ამბით გვაუწყა, ბენდუქიძე ყველაზე დიდ რეფორმატორად მოიხსენია, ვინც კი ოდესმე ყოფილა საქართველოში.

– თუ საქართველოს მიწა-წყლიანად და ციანად გაყიდვა უდიდესი რეფორმატორობაა, კი, ბატონო, მაშინ მართალი უთქვამს ამჯერად ქონებადაყადაღებულ ნადედოფლარს.

– მაგრამ მთავარი ეგ არ არის. მთავარი ის არის, რომ რულოვ-





სის ქალმა თვალაცრემლებულმა და საქვეყნო დარდს გულამოყოლებულმა დიდი რეფორმატორის ცხედართან „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტთან ხმამაღლა განაცხადა, ახლა როცა მიშა ქვეყნიდან გაძევებულია და ბენდუქიძე ამქვეყნად აღარ არის, ახალი ხელისუფლების ხელში საქართველო თანდათან და თვალდათვალ ქრებაო.

– რას იზამ, ძნელია დედოფლობის დაკარგვა, როგორც ჩანს, ნაპირველლედარ სანდრა რულოვსის სახით ლელა კაკულიას კონკურენტი გაუჩნდა.

– მეტი რა დარჩენიათ, პოლიტიკური მარჩიელობა მიშასაც მაგრა ემარჯვება და, როგორც ჩანს, სანდრამაც ევროპის დონეზე დაიწყო მკითხაობა...

ალიანჩალიანი

## თავდაცვის მინისტრს მოადგილეები არ ჰყავს

**საქართველოს** თავდაცვის მინისტრის მოადგილეების პოსტები ამ დრომდე ვაკანტურია. ჯერ უცნობია, როდის და ვის კანდიდატურებს წარადგენს თავდაცვის ახალი მინისტრი მინდია ჯანელიძე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები 5 ნოემბერს, ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ გაათავისუფლა.

ირაკლი ალასანიას ხუთი მოადგილე ჰყავდა — ირაკლი გეგეჭკორი, ალექსი ბატიაშვილი, ვაკო ავალიანი, მიხეილ დარჩიაშვილი და თამარ ქაროსანიძე.

## ქართული კომპანიები აბუ დაბის გამოფენაზე

**მეწარმეობის** განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, მიმდინარე წლის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მაშტაბური საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში „SIIAL MIDDLE EAST 2014“, რომელიც არაბთა გაერთიანებელი საემიროებში, ქ. აბუ-დაბიში იმართება, ქართული პროდუქციის აქტიური გაცნობა დაიწყო.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, გამოფენის ძირითად მიზანს წარმოადგენს თითოეული მონაწილე ქვეყნის ეკონომიკური და ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენა.



ღონისძიება იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას დამყარდეს კონტაქტი ადგილობრივ მყიდველებთან და მოხდეს ქართული პროდუქციის მასშტაბური პოპულარიზაცია. გამოფენაში 52 ქვეყნიდან 700-ზე მეტი კომპანია იღებს მონაწილეობას, ხოლო ვიზიტორების რაოდენობა 17,000-ს აღემატება, საიდანაც პროფესიონალი თრეიდერების რიცხვი 600-ზე მეტია.

24-26 ნოემბრის ჩათვლით, ქართული სტენდის ფარგლებში, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის ხელშეწყობით ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ წვენების, მინერალური წყლის, წყაროს წყლის, თაფლის და თხილის და ასევე კვების მრეწველობაში მოღვაწე კომპანიები. გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობა დაიგეგმა აბუ დაბიში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტისა და საქართველოში შეიხ ლუბნას სტუმრობის შემდეგ.

## ცხრა თვის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვაჭრობა 10 %-ით გაიზარდა

**შესაბამისი** ინფორმაცია საფინანსო-საბიუჯეტო და ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ მიაწოდა.

„საგარეო ვაჭრობის კუთხით 10- %-იანი ზრდა გვაქვს, მათ შორის იმპორტია 12 %-ით გაზრდილი, ექსპორტი კი 7 %-ით. ექსპორტს რაც შეეხება, მინდა აღვნიშნო, რომ ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 23 %-ზე მეტითაა გაზრილი, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის ძირითადად დსთ-ის ქვეყნებში შემცირებულია. ეს ის ქვეყნებია, რომელთა ეკონომიკაც დაკავშირებულია რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკასთან. შესაბამისად, ამ ქვეყნებში მოხდა ექსპორტის ნაწილობრივ შემცირება. ასევე ექსპორტის შემცირება მოხდა აზერბაიჯანში, რაც ავტომობილების ექსპორტის შემცირებითაა გამოწვეული“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებელს, 9 თვის მდგომარეობით, შემოსავლის სახით 5 მილიარდ 833 მილიონი ლარის მობილიზება განხორციელდა.

გრანტების ნაწილში 6 თვის მონაცემებით, ჩამორჩენა ფიქსირდებოდა, მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, 9 თვის მდგომარეობით, გეგმის 88 %-ზე მეტი შესრულებულია.

## საქართველოში თავშესაფრის ბევრი მაძიებელი მოდის

**ამის** შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი აცხადებს.

მისი განმარტებით, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები მოდიან ერაყიდან და სირიიდან, ასევე უკრაინიდან. არიან ქურთები, იეზიდები, არაბები. „როცა ჩვენვე ათასობით დევნილი გვყავს, ცოტა ძნელია მათი დაკმაყოფილება, თუმცა, შეძლებისდაგვარად ვეხმარებით ლტოლვილებს ბინების დაქირავებაში, ვაძლევთ თავშესაფარს მარტყოფში. აშშ-ის დახმარებით შენდება ლტოლვილთა ახალი თავშესაფარი, 120 კაცზე გათვალისწინებული კორპუსი“, — აცხადებს მინისტრი.

შეკახილი

# ხმას რად არ იღებთ, ბიჭებო?!

**ჩემთვის მეტად სამწუხარო ობიექტური მიზეზების გამო ამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ტელევიზიისთვის თვალი არ მიდევნებია. ამიტომაც თბილისში ჩამოსულმა გუშინღა შევიტყვე, რომ პორტუგალიელმა სამართალდამცავებმა კორუფციისა და სხვა კანონდარღვევებისთვის სამშობლოში დაბრუნებისთანავე დააპატიმრეს ამ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჟოზე სოკრატეში.**



ჟოზე სოკრატეში

სწორედ ამის გამო მივმართავ **„ბიჭებს“** — შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კარლ ბილდტსა და ევროპის სახალხო პარტიის ლიდერებს — „სამართლიანობისთვის თავგადადებულ მებრძოლთ“, ქვეყანა რომ აამტუტეს თავიანთი კომენტარებითა თუ ნაირგვარი რეზოლუციებით — არიქა, საქართველოში კანონი და კანონიერება ირღვევა, შერჩევითი სამართალი და ოპოზიციონერთა პოლიტიკური მოტივით დევნის მანკიერი პრაქტიკა ზეობს, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და დედაქალაქის მერი სწორედ ამ ნიშნით დააპატიმრეს, რაც ყოვლად მოუთმენელ-დაუშვებელი და მიუღებელია ევროპული დემოკრატიისთვისო!

კი, მაგრამ, ჩემო იმანოებო, პორტუგალია ევროპა არ არის? რად არ იღებთ **ხ**მას და რატომ არ არის**ხ**ებთ ზარებს? ახლაც რად დუმ**ხ**ართ ისევე, როგორც ბერლუსკონის, შირაკის, სარკოზის თუ სხვათა გამოც იყავით გაჩუმებულნი?

**ხმა ამოიღეთ, ბიჭებო, თორემ საბოლოოდ დავიჯერებთ, რომ ბილდტი კი არა, სინამდვილეში სწორედაც ნაციონალთა მიერ დიდძალი ქრთამით მოსყიდული ბილწი ადამიანები ყოფილხართ, რომელთა მსგავსნიც მართლაც ყოვლად მოუთმენელ-დაუშვებელი და მიუღებელია ევროპული დემოკრატიისთვის!**



კარლ ბილდტი

**რუსლან რუსია**

ღირს დაფიქრებად!

# ერთი ხელის მოსმით გაუცხოება?

## ქართველი ემიგრანტები საქართველოს ხელისუფლებას საკანონმდებლო ინიციატივებით მიმართავენ

**უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები საქართველოს ხელისუფლებას რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავენ.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით ემიგრაციაში მყოფი ქართველები წერილს ავრცელებენ, რომელსაც 226 მოქალაქე აწერს ხელს. მასში უცხოეთში მცხოვრები ქართველები სხვა წინადადებებთან ერთად იმ მუხლის გაუქმებას მოითხოვენ, რომლითაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების დროს, საქართველოს მოქალაქე პირველად მოქალაქეობას კარგავს. წერილს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ავრცელებს.**



„აღიარებული ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის 1/4 იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ. მათგან უმეტეს ნაწილს უკვე დაკარგული აქვს საქართველოს მოქალაქეობა ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების პროცესში იმყოფება. ქართული ემიგრაციის გარკვეული ნაწილი პოლიტიკური მოტივაციით სხვადასხვა დროს იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო, უდიდესი ნაწილი კი ეკონომიკური პირობების გამო არის გასული ქვეყნის გარეთ, თუმცა, ემიგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი საქმიანობით კვლავ საქართველოს უკავშირდება. გარდა იმ მასშტაბური ეკონომიკური დახმარებისა, რასაც ქართული დიასპორა ყოველწლიურად აწვდის საქართველოს, და რომლის არხსენება არ შეიძლება, ნებისმიერი საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქე სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, შეინარჩუნოს სამშობლოსთან ემოციური და მოქალაქეობრივი კავშირები. ჩვენი აზრით, ლოგიკურია და აუცილებელიც, რომ ამ კავშირების შენარჩუნებაში ასევე იყოს დაინტერესებული საქართველოს ხელისუფლებაც.

სამწუხაროდ, დღემდე საქართველოს ხელისუფლებების მიერ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ყოფილი მოქალაქეების განსაკუთრებული მდგომარეობა არ იქნა გათვალისწინებული და შესაბამისად, მათთვის განსაკუთრებული სამართლებრივი ნორმები არ იქნა შემუშავებული, რათა მათი „ჩართულობა“ ქვეყნის ცხოვრებაში და განვითარებაში გარანტირებული იყოს და შენარჩუნებული მათი მომავალი დაბრუნების შანსები.

ამ კუთხით, არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უდიდესი ნაწილის ლეგიტიმურ და უმთავრეს მოთხოვნებს ორმაგი მოქალაქეობის პრინციპის სრულ და სამართლებრივ ამოქმედებაზე საქართველოში დაბადებულთათვის განსაკუთრებული უფლებებით მოქალაქეობის შენარჩუნებით მეორე ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, არამედ რეალურად აყენებს საქართველოს ყოფილ მოქალაქეებს და უცხოელებს, ვისაც მანამდე არანაირი შეხება ჰქონიათ საქართველოსთან, თანაბარ მდგომარეობაში მოქალაქეობის მინიჭების წინაშე. ჩვენ მოვითხოვთ ამ მუხლის გაუქმებას, რაც აისახება იმაში, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების დროს, საქართველოს მოქალაქე აღარ დაკარგავს კუთვნილ პირველად მოქალაქეობას, თუ თავად არ განაცხადებს ამის სურვილს, აღარ გახდება იძულებული პასპორტი ჩააბაროს და გაურკვეველ კრიტერიუმებზე დამოკიდებული დაელოდოს საქართველოს მოქალაქეობის მისთვის ხელახლა მინიჭებას. ამდენად, მეორე მოქალაქეობის მიღება, აღარ გახდება საფუძველი საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა და ქვეყნის მოსახლეობის ამ ფორმით შემცირებისა. მოქალაქეს შეუნარჩუნდება ყველა მისი მოქალაქეობრივი, პოლიტიკური და იურიდიული უფლებები, ყოველივე ზედმეტი პროცედურის ჩატარების გარეშე.

ამ ფორმით შენარჩუნებული საქართველოს მოქალაქეობა, ცხადია, ასევე უნდა შეიცავდეს სრულ პოლიტიკურ, იურიდიულ და ეკონომიკურ უფლებებს, მათ შორის პასიური და აქტიურ საარჩევნო უფლებასაც (ყველანაირი განსაკუთრებული ცენზის გარეშე, რომელიც საქართველოში მყოფ მოქალქეებზე არ ვრცელდება და ამდენად, მოიცავს დისკრიმინაციის ელემენტებს).

და ბოლოს: სანამ ამოქმედდება ზემოთ ხსენებული ორმაგი მოქალაქეობის ლიბერალური კანონმდებლობა, საქართველოდან გასული მოქალაქე უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული სტატუსით და რიგითი უცხოელის მსგავსად არ დაექვემდებაროს 6 წლიანი მუდმივი ცხოვრების ცენზს.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ადგენს მთელ რიგ შეღავათებს, რომლითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია, შემოვიდეს საქართველოში ვიზის გარეშე, მსგავსი დებულებები არ არის გათვალისწინებული საქართველოს ყოფილ მოქალაქეებზე, რომელთა დიდი ნაწილი ასევე ვერ ისარგებლებენ მუდმივი ბინადრობის უფლებით, რადგან ლოგიკური მიზეზების გამო ვერ დააკმაყოფილებენ სავალდებულო 6-წლიან ცენზს.

ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართველების ერთი ხელის მოსმით „გაუცხოება“, ანუ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ საქართველოსთან ემოციური და მორალურ-მოქალაქეობრივი შეხება წარსულში, სამართლებრივი გათანაბრება არანაირად არ წაადგება ჩვენს საერთო ქვეყანას, უფრო პირიქით — თანდათან შეასუსტებს კავშირს და შესაძლებლობას ემიგრაციის ჯანსაღი პოტენციალის საქართველოს სახელმწიფოსთვის სასიკეთოდ გამოყენებაში, რასაც ასე საჭიროებს საქართველოს სახელმწიფო. იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეყოფა პოლიტიკური ნება და ქართული ემიგრაციის ხმა შესმენილი იქნება. შესაბამისად ჩვენი ლეგიტიმური მოთხოვნები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული კანონის დახვეწის შემდგომ პროცესში“, — ნათქვამია წერილში.

ემიგრანტების მიერ მომზადებულ წერილს ხელს აწერენ დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, გერმანიაში, კანადაში, ბელგიაში, იტალიაში, მაროკოში, საბერძნეთში, პოლონეთში, რუსეთში, უკრაინაში, ნიდერლანდებში, არგენტინაში, ავსტრიაში, ეგვიპტეში, თურქეთში, შვეიცარიაში, შვედეთში, ესტონეთსა და პაპუა-ახალ გვინეაში მცხოვრები ქართველები.

განგაში!

# შეაჩერებს ვინმე კატასტროფას ენგურის ხეობაში?!

**„ენგურჰესის“ სადამკვირვებლო ჯგუფში შემოვიდა შეტყობინება, რომ წყალსაცავის მიმდებარე ხოკოს ტერიტორიაზე უკანონოდ მიმდინარეობს თაბაშირის მოპოვება. ენგურის წყალსაცავში კარიერიდან უწყვეტ ნაკადად ჩაედინება ზვავური, მეწყერული წარმოშობის ქანები, განსაკუთრებით წვიმების შემდეგ. ამ საშინელების ნახვამ გადამაწყვეტინა ამ სტატიის გამოქვეყნება.**

როგორც ცნობილი და მეცნიერების მიერ დადასტურებულია, ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის ფუძე რთული გეოგრაფიული აღნაგობისაა, ძირითადი მასივი შრეობრივად კარბონატული ქვედა ცარცული ასაკისაა. წარმოდგენილია არაერთგვაროვანი, ძლიერად დაბზარული კირქვებით და დოლომიტური ფენოვანებით. ფუძის გეოლოგიური აგებულების მხრივ განსაკუთრებულობას წარმოადგენს ხეობის მარჯვენა ფერდში არსებული ძირითადი გეოლოგიური რღვევა (სისქით 9 მ.), რომელიც წარმოადგენს ინგრიშის მთავარი რღვევის განშტოებას, რომ რღვევა აქტიური არ არის, სტრუქტურულ ბლოკებს შორის მემკვიდრეობითი მოძრაობები არ აღინიშნება. ამდენად, ენგურჰესის კაშხალი დაპროექტდა გეოლოგიურ რღვევებზე.



მდინარე ენგურის ხეობის მარცხენა ფერდში პროექტირების პერიოდში გამოვლინდა ხოკოს მეწყრული ზონა, რომელიც ჯვარი-მესტიის მაგისტრალის მე-9 კმ. 1-1,5 კმ. ზოლზე, სადაც მდ. ენგურისა და მდ. მაგანას ხეობები მაქსიმალურად უახლოვდება ერთმანეთს, მაგისტრალის გასწვრივ ხოკოს ტერიტორიაზე. ხოკოს ქედის ეს 1-1.5 კმ-იანი ზოლი შედგება თიხნარი არამყარი მასივისაგან სტალაქტიდური, კოლმოტირებული, მზრალი ეროზირებული სხლეტის მაღალი კოეფიციენტებით, მცოცავი არამდგრადი შემადგენლობისაა, ეს ზონა სეისმურად აქტიური ტექტონიკური ბიძგებით ხასიათდება, მაქსიმალური მიწისძვრის ძალა 6 მაგნიტუდა იყო, ხოლო ენგურის წყალსაცავი 1100 000 000 მ³. უზარმაზარი მასით მის მეზობელ მდინარე მაგანის ხეობასთან შედარებით 250-300 მ-ით უფრო მაღლაა განლაგებული. თუ სასწორის ერთ თეფშზე დავდებთ ყველაფერს, ხოლო მეორეზე არაფერს, რა თქმა უნდა, ყველაფერი გადასწონის არაფერს!

ალმაშფოთებელია ის გარემოება, რომ თაბაშირის მოპოვების მიზნით დაუდგენელი კომპანიები ფიზიკურ ზემოქმედებას ახორციელებენ ხოკოს ტერიტორიაზე წყალსაცავის მიდამოებში. ბოლო წლების განმავლობაში ფიზიკურად, უხეშად ერევიან. მიმდინარეობს რყევითი, ნგრევითი და ფეთქებადი სამუშაოები მძიმე ტექნიკის ჩარევით (ამწეები, ბულდოზერები, ბურღვითი სამუშაოები კომპრესორული წესით). მთლიანად ჩამოშალეს თაბაშირის ქანებისაგან შემდგარი მთა 50 000 მ³ ოდენობით, 40-ტონიანი მანქანებით გაზიდეს 10000 რეისი. პირწმინდად ალგავეს 1,5-2 ჰა ხე-ტყის მასივი, ხოლო ნარჩენი მასა ღვარცოფის, ნაკადულების წარმოქმნილი ხევების შედეგად მეწყერულად ჩაედინება წყალსაცავში, რაც ყოვლად დაუშვებელია! შეშფოთებულია, პანიკაშია რეგიონის მოსახლეობა. ბარბაროსი მნგრეველები ავრცელებენ ხმას, ჩვენი „კრიშა“ პარლამენტარია და თითსაც ვერ დაგვაკარებთო!

მსოფლიოში ბევრი მწარე გაკვეთილი იყო (ინდოეთში, სამხრეთ ამერიკაში). გვახსოვს იტალიაში ალპებზე ვაიონტის ტრაგედია 1963 წლის 9 სექტემბერს, რომელსაც 40000 ადამიანი შეეწირა! თუ ამ ყველაფერს გავაანალიზებთ, არსებობს რეალური საფრთხე, რომ 1100 000 000 მ³ მოცულობის უზარმაზარმა აუზმა გაიკაფოს ახალი გზა, გაარღვიოს და გადაკვეთოს ჯვარი-მესტიის მაგისტრალი დიაგონალურად და გადაინაცვლოს მდ. მაგანას ხეობაში! უმოკლესი მანძილი პერიმეტრზე პირდაპირ ხეობებს შორის 800-დან 1000 მ.-ს არ აღემატება.

შავი ზღვისპირეთის ჩვენი რეგიონის ქალაქებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თურქეთის ქალაქი სტამბოლი აღმოჩნდება 16 მ-ანი ტალღის ფსკერზე!

არ გვაქვს ზუსტი გარანტია, რომ ეს უბედურება არ მოხდება ახლო თუ შორეულ მომავალში, შესაძლოა, ეს პროცესი ახლა, ამწუთას უკვე დაწყებულია.

საუკუნის ბოროტმოქმედებო! შეწყვიტეთ კატასტროფული, დამანგრეველი ქმედებები კაშხლის ტერიტორიაზე, წყალსაცავის მიდამოებში ენგურის ხეობაში !

**სოსო (როლანდ) ციმინტია,**
**საერო და სამეცნიერო აკადემიების ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. კაშხლის დეპარტამენტის სადამკვირვებლო-მონიტორინგული ჯგუფის ინჟინერ-ტექნიკოსი.**

**P. S. საინტერესოა, რას ფიქრობს ენგურჰესის მეპატრონე, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ლევან მებონია და ენგურჰესის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ექსპერტი ბ-ნი მ. ყალაბეგიშვილი, არხეინად რომ გამოკეტილან კაბინეტებში, თითქოს არაფერი არ ხდება. ეს ხომ არ ხდება სადმე ნიგერიაში ან ნიკარაგუაში, უკაცრავად, ბატონებო, მაგრამ შემიძლია, გკითხოთ, ჰყავს თუ არა ენგურჰესს პატრონი?**

**რ. ც.**

ვითარება

# კარიდან გაგდებული და ფანჯრიდან შეპარული ჟურნალისტი,

## ანუ რამ გააღიზიანა დავით საგანელიძე?



**ანალიტიკურ პორტალ for.ge-ზე განაწყენებული დავით საგანელიძე პროტესტის ნიშნად ქართულ მედიას ბოიკოტს უცხადებს და ერთი კვირით მასთან ურთიერთობას წყვეტს.**

**გაღიზიანება იმ ფარულმა ჩანაწერმა გამოიწვია, რომელიც for.ge-ს ხელში ჩაუვარდა. კერძოდ, გასულ კვირას, საზოგადოებას უმრავლესობის დახურული სხდომის სტენოგრამა შევთავაზეთ, სადაც დავით საგანელიძე ვიცე-სპიკერის პოსტიდან ზურაბ აბაშიძის გათავისუფლების თაობაზე გუნდს „მოძღვრავდა“.**

გამოსვლისას საგანელიძე აცხადებდა, რომ ამ საკითხზე უმრავლესობიდან მისთვის ძალიან საპატივცემულო ადამიანები განსხვავებულ პოზიციებს გამოხატავდნენ, რაც მას არ მოსწონდა.

**„ადამიანი ტელევიზიით ამბობს, რომ მაგათთან ყოფნა აღარ ღირსო, მაშინ თუ ჩემთან ერთად ყოფნა არ ღირს, ჩემი კვოტით ვიცე-სპიკერობა როგორ ღირს?! იმის თქმა, რომ უმრავლესობიდან მივდივარ, მაგრამ ვიცე-სპიკერობიდან არ მივდივარ, არასწორია. კაი ბიჭია კი, ყველა კაი ბიჭია, მაგრამ ამით რა? — პოლიტიკა პოლიტიკაა“,** — აღნიშნავდა საგანელიძე.

for.ge-მ აღნიშნული სტენოგრამა 14 ნოემბერს დილით გამოაქვეყნა. მისი წარმოშობით უმრავლესობის პრესსამსახური იმ დღესვე დაინტერესდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ ჩვენგან პასუხი ვერ მიიღეს, როგორც ჩანს, მორალის კითხვა დავით საგანელიძემ განიზრახა, თუმცა, ერთი კვირის დაგვიანებით.

უმრავლესობის ლიდერის თქმით, პარლამენტის შენობაში უმრავლესობის სხდომა დახურეს და დარბაზიდან ჟურნალისტები, ტექნიკური პერსონალი გავიდა, აპარატურა კი გამოირთო.

**„მეორე დღეს, ერთ-ერთი სააგენტოს გვერდზე ჟურნალისტი დიდი სიამაყით წერს, რომ მან სხდომის ჩანაწერი მოიპოვა და მთელი სხდომის სტენოგრამა აქვს გამოქვეყნებული“,** — აცხადებს საგანელიძე, რომელსაც პრეტენზია ტექსტის დამახინჯებაზე არ აქვს, თუმცა, არ მოსწონს, რომ უმრავლესობას მოვუსმინეთ.

დეპუტატის თქმით, საქმე შინაარსში არ არის და არც ერთ სიტყვას უარყოფს, რაც გამოქვეყნდა, მაგრამ იმ დროს, როდესაც მსჯელობა მიმდინარეობს ფარული მიყურადების მიუღებლობის თაობაზე, „მსგავსი საქციელი ჟურნალისტის მხრიდან ორმაგად მიუღებელია“.

**„როცა ვსაუბრობთ, რომ მიყურადება არის დაუშვებელი, როცა ჟურნალისტები ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ ქვეყანაში ის მარაზმი არ მოხდეს, როცა ყველას გვისმენდნენ, ბარემ სახლში ჩამიდონ ტელეფონი, მეუღლეს რას ვეუბნები, იქნებ საძინებლებში შემოგვიტანონ. ეს ჟურნალისტებისგან არ უნდა იყოს გაკიცხული?! აქ არის მორალურ სახეზე, პრინციპებზე და ორმაგ სტანდარტზე საუბარი. ამით ჟურნალისტი ამაყობს“,** — აცხადებს საგანელიძე.

კანონმდებელი ვარაუდობს, რომ ჟურნალისტმა ჩამწერი დარბაზში ჩუმად დატოვა.

**„კიდევ უარესია, თუ ჟურნალისტმა თავად კი არ ჩაიწერა, არამედ რომელიმე „არამზადა დეპუტატმა“ და ჟურნალისტი ამას იყენებს“,** — ამბობს საგანელიძე, რომლის ეჭვებსაც მარტივად ვუპასუხებ.

პირველი, თუკი ჟურნალისტმა, ანუ მე, ჩამწერი აპარატურა დარბაზში დავტოვე, ამ დროს მანდატურის სამსახური, რას აკეთებდა? მეორე, თუკი ჩამწერი აპარატურა ე.წ. გალიორკაზე დავტოვე, სადაც ჟურნალისტები არიან განლაგებულნი, იქიდან აპარატს როგორ გამოვიტანდი, როდესაც ოთახის კარს ლუქი ადევს? მესამე, თუკი საგანელიძე ეჭვს გამოთქვამს, რომ ჩანაწერი „არამზადა დეპუტატმა“ გადმომცა, ის უმრავლესობას „თავის ოჯახს“ როგორ უწოდებს? მეოთხე, უმრავლესობის ლიდერმა არ იცის, რომ დარბაზში შესვლის უფლება მედიის წარმომადგენლებს არ აქვთ? მეხუთე, მართალია, ზოგჯერ, უმრავლესობა საკუთარ სხდომას დახურულ რეჟიმში ატარებს და ამ დროს, ხმა მედიაცენტრში უწყვეტ რეჟიმში მოდის, მაგრამ 13 ნოემბერს, ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც კარიდან გაგდებული, ამბების გასარკვევად, საჭირო ადგილას ფანჯრიდან შევედი. ასე რომ, ჯობს, უმრავლესობამ დახურულ სხდომებზე რამდენიმე საათი ქვეყნისთვის საჭირბოროტო საქმეებს დაუთმოს და არა იმას, ოთხშაბათს, პოლიტიკური დებატების დროს, სიტყვით რომელი დეპუტატი უნდა გამოვიდეს, სიტყვა რომელ დეპუტატს არ მიეცეს და შემდეგ, დახურული სხდომა ომარ ნიშნიანიძის დამშვიდებას არ უნდა დაეთმოს, რომ მან სიტყვის არმიცემის გამო, უმრავლესობა არ დატოვოს.

რაც შეეხება, საგანელიძის განცხადებას: **„ბარემ სახლში ჩამიდონ ტელეფონი, მეუღლეს რას ვეუბნები, იქნებ, საძინებლებში შემოგვიტანონ“,** — დეპუტატს დავამშვიდებთ, ნამდვილად არავის აინტერესებს დეპუტეტების პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალები. რამდენადაც მათ ვალდებულება აქვთ, პოლიტიკა საჯარო გახადონ, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება, საზოგადოების ზურგს უკან, კულუარებში მიიღება, ჟურნალისტები მაქსიმალურად ვცდილობთ ინფორმაციები სხვადასხვა გზით მოვიპოვოთ. მაგრამ, თუ პოლიტიკოსები თავად ვერ უზრუნველყოფენ „საიდუმლო სერობების“ სათანადოდ ორგანიზებას, ეს მათი პრობლემაა და ჟურნალისტებს ნუ დაგვადანაშაულებენ, რომ სმენას, მხედველობას და მეტყველებას არ ვიხშობთ.

ალსანიშნავია, რომ for.ge-ს გარდა, დავით საგანელიძე გასულ კვირას, რამდენიმე მედიასაშუალებასაც გაუნაწყენდა. როგორც თავად ამბობს, რიგ სააგენტოს მისი განცხადება შეუცვლია, რიგ გაზეთს მისი განცხადების ინტერპრეტირება მოუხდენია, მაგრამ ბოიკოტის გამო, უმრავლესობის ლიდერს მშვიდი მომავალი კვირა ექნება, არადა, ამ დროს პარლამენტში ე.წ. გასაღების თაობაზე პოლიტიკური რინგი იმართება.

**თეონა მანაგაძე**

საზღვარი

# 6 მილიონი ევროთი წინ წავალთ!

**ამის შესახებ საზღვრის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე დონორთა კონფერენციის ფარგლებში სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ზურაბ გამეზარდაშვილმა განაცხადა.**

**ევროპელმა და დასავლელმა მეგობრებმა ნახეს, რომ საქართველომ ძალიან დიდი ინვესტიცია განახორციელა საზღვრის ინფრასტრუქტურის მოწყობაში, ამიტომ მზადყოფნა გამოთქვეს, მიმდინარე წელს განახორციელონ 6 მილიონი ევროს ინვესტიცია საზღვრის უკეთესად მოწყობის საქმეში.**

**აქედან 3 მილიონი ევრო მოხმარდება საქართველო-თურქეთის დემარკირებულ საზღვარზე ტექნიკურ აღჭურვას, ხოლო მეორე 3 მილიონი ევრო — საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ახალი ინფრასტრუქტურის აშენებას, ტექნიკურ მოწყობასა და სრულ მოდერნიზაციას.**

**„მოგეხსენებათ, ჩვენ დემარკირებული საზღვარი გვაქვს მხოლოდ თურქეთთან. ახლა თითქმის დასრულების პროცესშია სომხეთის რესპუბლიკასთან დემარკაციის საკითხები, გრძელდება აზერბაიჯანთან მოლაპარაკებები. ყოველ შემთხვევაში, წინ მივდივართ და დაბრკოლებები არ გვაქვს“, — განაცხადა ზურაბ გამეზარდაშვილმა“.**

ინტერპრესი

# მოგება მეტი იქნება თუ წაგება?

**მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს მთავრობამ აამოქმედა ახალი სავიზო რეგულაციები, რომელთა მიხედვითაც, საქართველოსთან ცალმხრივი უვიზო რეჟიმისა და გამარტივებული სავიზო რეჟიმის მქონე ქვეყნებს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო. ცვლილებები აისახა მოკლე და გრძელვადიანი ვიზის მიღების პროცედურებსა და სავიზო გადასახადის წესზე.**

**უნდა აღინიშნოს, რომ 2005-2014 წლებში საქართველოში მოქმედი სავიზო ლიბერალიზაციის პოლიტიკის შედეგად, ცალმხრივი უვიზო რეჟიმით სარგებლობდა 121 ქვეყნის მოქალაქე, მათ შორის, მოქალაქეები ისეთი მდიდარი სახელმწიფოებისა, რომლებიც ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნების რიცხვში შედიან.**

**ყველა დანარჩენი ქვეყნის წარმომადგენელს ვიზის მიღება გამარტივებული წესით საქართველოს საზღვარზევე შეეძლო. ვიზის გაგრძელების პროცედურა საქართველოშივე ხორციელდებოდა. აღნიშნული პოლიტიკის მიზანი საქართველოში ტურისტული მოგზაურობისა და ხანგრძლივი ბინადრობის წახალისება იყო, ქვეყანაში ინვესტიციების ჩადების, ბიზნესის წარმოების, მუშაობისა და სწავლის მიზნით.**



სავიზო ლიბერალიზაციის შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვნად იმატა ტურისტულმა ნაკადებმა, რამაც ხელი შეუწყო სექტორის სწრაფ ზრდას. სწორედ ამ გახსნილობის (თუნდაც ცალმხრივად) პოლიტიკის შედეგია ის, რაც ქვეყნის ეკონომიკამ ბოლო წლების მანძილზე მიიღო. კერძოდ:

**საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ზრდის დინამიკა, UNWTO World Tourism Barometer-ის მიხედვით, აღიარებულ იქნა ევროპაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლად: 2009 წელი – 1,500,049 ვიზიტორი; 2010 წელი – 2,031,717 ვიზიტორი, 2011 წელი – 2,822,363 ვიზიტორი, 2012 წელი – 4,428,221 ვიზიტორი, 2013 წელი – 5,392,303 ვიზიტორი.**

**2013 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში ტურიზმის მაჩვენებელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და დასახელდა ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტულ მიმართულებად საქართველოს ეკონომიკაში;**

**2013 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა საქართველოს მშპ-ის 6.5% შეადგინა (3 მილიარდი ლარი);**

**2012 წელს საქართველოს მთლიან დასაქმებაში ტურიზმის სექტორში დასაქმების წილმა 10% შეადგინა;**

**2013 წელს ტურიზმის წილმა საქართველოს სერვისის ექსპორტში 58% შეადგინა.**

საქართველოში ტურიზმის განვითარების პროცესში სავიზო შეზღუდვების დაწესება მნიშვნელოვანად შეაფერხებს სექტორის განვითარებას. მოსალოდნელი შედეგი ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, ვინაიდან ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან წილს შეადგენდა. სავიზო პროცედურების გართულება და გადასახადის დაწესება, რაც ტურისტს დამატებითი დროისა და ფინანსური რესურსის ხარჯვას აიძულებს, საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ნაკლოვანებებზე მიუთითებს და მას ტურისტულ მიმზიდველობასა და ღირებულებას აკარგვინებს.

ახალი სავიზო პოლიტიკის ფარგლებში, ცალმხრივი უვიზო რეჟიმის ქვეყნების სია 94-მდე შემცირდა, თუმცა, სავიზო შეზღუდვები მათაც შეეხოთ: თუ ადრე საქართველოში შემოსასვლელად და ქვეყანაში 360 დღემდე გაჩერებისთვის მათ ვიზა არ სჭირდებოდათ, ახლა, უვიზო მოკლევადიანი ვიზიტის შემთხვევაში, ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90 დღით შეუძლიათ ქვეყანაში დარჩენა, ხოლო უფრო ხანგრძლივი დროით დარჩენისთვის მათ საემიგრაციო ვიზის აღება მოუწევთ. მათ იგივე ქმედება უნდა განახორციელონ მოკლევადიანი ვიზიტის დროს, ვიზის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ უვიზო რეჟიმის სიაში ველარ მოხვდნენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნები – ირანი და ერაყი, ასევე ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები: ჩილე, პერუ, პარაგვაი, ურუგვაი, გვატემალა, ბოლივია, სურინამი, კუბა, სენტ-ლუჩია, დომინიკის თანამეგობრობა, სენტ-კიტსისა და ნევისის ფედერაცია, ტრინიდადისა და ტობაგოს რესპუბლიკა.

სავიზო პოლიტიკაში შესული ცვლილებები გავრცელდა საქართველოსთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმების მქონე ქვეყნებზეც, რომლებთანაც ქვეყანაში დარჩენის ვადები, წინა რეგულაციებით, განუსაზღვრელი იყო. ესენია: აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, ტაჯიკეთი, მოლდოვა, უკრაინა, უზბეკეთი, ყირგიზეთი. ზემოხსენებული პირობები დღეისათვის ამ ქვეყნებზეც ვრცელდება.

გაუქმდა ვიზის საზღვარზე აღების შესაძლებლობა ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა: ჩინეთი, ჰონკონგი, ინდოეთი, სინგაპური, ინდონეზია, მალაიზია, პაკისტანი, ავღანეთი, ფილიპინები, შრი-ლანკა, ჩილე და სხვა (70 ქვეყანა). საზღვარზე ვიზის აღების შესაძლებლობა, როგორც ტურისტისათვის ხელსაყრელი პირობა, აღარ არის გათვალისწინებული ახალ რეგულაციებში, რითაც ქვეყნის ტურისტული მიმზიდველობა მნიშვნელოვნად მცირდება. აღსანიშნავია, რომ ეს ქვეყნები მზარდ ტურისტულ ბაზრებს წარმოადგენდნენ და მათი უმრავლესობა წამყვან ადგილზეა საქართველოს ვიზიტორთა ბოლო წლების მონაცემებში, თავიანთი რეგიონის მასშტაბით.

**წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის სტატისტიკური მონაცემები.**

ახალი სავიზო პოლიტიკის გატარებამ ასევე გაართულა გრძელვადიანი ვიზის მიღების პროცედურები. იმისათვის, რომ ცალმხრივი უვიზო რეჟიმის მქონე 94 ქვეყნის მოქალაქეებმა საქართველოში 90 დღეზე მეტი პერიოდით დარჩენის უფლება მიიღონ, მათ უნდა მიმართონ საქართველოს საკონსულოს თავიანთ ქვეყანაში, დააკმაყოფილონ საშუალოდ 14-პუნქტიანი დოკუმენტის ჩამონათვალი (დამოკიდებულია ვიზიტის მიზანზე) და გადაიხადონ 50 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი ქვეყნების მოქალაქეებმა იგივე ქმედება უნდა განახორციელონ მოკლევადიანი ვიზის მიღების შემთხვევაშიც.

ამასთან, ახალი პოლიტიკის თანახმად, ვიზის აღება ხდება მხოლოდ საქართველოს საკონსულოში, რომელიც ყველა ქვეყანაში არ არის წარმოდგენილი. ამიტომ ერაყის მოქალაქეები საქართველოს ვიზის მისაღებად უნდა გაემგზავრონ იორდანიაში, ავღანელები – თურქმენეთში, ნიგერიელები – ეგვიპტეში ან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, პაკისტანელები – ირანში, ფილიპინელები – ინდონეზიაში. ხოლო ჩინელმა და ინდოელმა ასობით კილომეტრი უნდა გაიაროს დედაქალაქში ჩასასვლელად, თუკი საქართველოს ვიზის აღება სურს.

## ახალი სავიზო პოლიტიკა და ტურიზმზე ასახული შედეგები

ახალი სავიზო პოლიტიკის ყველაზე დიდი ხარვეზი გახლავთ ის, რომ ვიზის ტიპებში არ არის გათვალისწინებული სამოგზაურო/ტურისტული ვიზა. მაშასადამე, საქართველოს ვიზის მიღებისთვის ტურისტმა ფორმალურად უნდა აირჩიოს ჩამონათვალიდან რომელიმე ვიზის ტიპი და დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები, რადგანაც საქართველოს ტურისტული ვიზის ტიპი არ გააჩნია.

წარმოვიდგინოთ ჰიპოთეტური სიტუაცია: დავუშვათ, საშუალო ფენის ოჯახს, რომელიც ჰონკონგში ცხოვრობს, სურს, იმოგზაუროს საქართველოში, დაათვალიეროს კულტურული ძეგლები და დააგემოვნოს ქართული ღვინო. ახალი რეგულაციების შემოღების გამო, ისინი საზღვარზე ვიზის გაკეთებას ვეღარ შეძლებენ. თუმცა, არსებობს მოკლევადიანი ვიზის მოპოვების პროცედურები (ერთადერთი გზა საქართველოში მოგზაურობისთვის). კერძოდ, სტანდარტული სავიზო დოკუმენტების გარდა (პასპორტი, ფოტოსურათი, სავიზო განაცხადი, სავიზო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი (50 აშშ დოლარი ერთ ადამიანზე), ჯანმრთელობის დაზღვევა, დროებითი საცხოვრებელი ადგილის ცნობა და ფინანსური დოკუმენტები) მათ უნდა მოიპოვონ მოწვევა საქართველოდან და წარადგინონ უკან დაბრუნების გარანტიების დოკუმენტები. ამასთან, მათ უნდა მიუთითონ, რომ საქართველოში ეკლესია-მონასტრების მონახულების მიზნით ჩამოდიან (რადგან სხვა, ტურიზმთან მიახლოებული, ვიზის ტიპი ჩამონათვალში არ არის) და ამის დასადასტურებლად უნდა წარადგინონ საქართველოში მოსანახულებელი წმინდა ადგილების სია და მათი მონახულების დროში გაწერილი მარშრუტი.

ამ ყველაფრის შედგენისა და შეგროვების შემდგომ ისინი უნდა გაემგზავრონ პეკინში, რისთვისაც უნდა გაიარონ 1778 კილომეტრი. შემდეგ დაბრუნდნენ სახლში და დაელოდონ პასუხს 40 დღის განმავლობაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დიდია ალბათობა, რომ ამ პირობების გაცნობის შემდეგ, მათი გადაწყვეტილება შეიცვლება და საქართველოში მოგზაურობის ნაცვლად სხვა ქვეყნებში გამგზავრებას გადაწყვეტენ, სადაც გაცილებით უფრო გრანდიოზული და მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონახულებას შეძლებენ, გაცილებით მარტივ სავიზო პირობებში. საქართველო კი ამით კარგავს პოტენციურ ტურისტს, რომელიც მოგზაურობის დროს საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, მისი სამომხმარებლო სეგმენტიდან, 1 450 აშშ დოლარს ხარჯავს ერთ ადამიანზე.

აბსურდია, რომ ამგვარი სავიზო პოლიტიკით საქართველო მსოფლიო ტურისტულ რუკაზე კონკურენტუნარიანი იყოს. საქართველოში ტურისტული აქტიურობის ზრდა და ტურისტული მიმზიდველობა სწორედ მოგზაურობის სიმარტივით იყო განპირობებული. ჩინეთი და ინდოეთი მზარდ ტურისტულ ბაზრებს წარმოადგენენ არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის. ისინი მოიაზრებიან მომავალ გიგანტ ეკონომიკურ და ტურისტულ ქვეყნებად. წამყვანი ტურისტული ქვეყნების საზრუნავს წარმოადგენს ამ ორ ქვეყანაში წარმომადგენლობების გაზრდისა და მარკეტინგული აქტივობების გააქტიურება, და არა პირიქით – სამოგზაურო ბარიერების შექმნა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალი სავიზო პოლიტიკა ნეგატიურად იმოქმედებს აზარტული თამაშებით მოტივირებულ ტურიზმზეც, რომელიც აჭარის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ბათუმის სამორინეებს ძირითადად თურქი, ირანელი და აზერბაიჯანელი ვიზიტორები სტუმრობენ, რომელთაც 90 დღეზე ხანგრძლივი ვიზიტებისთვის დაუწესდათ იგივე შეზღუდვები, რაც სხვა ქვეყნების მოქალაქეებს.

მიგრაციის ახალი პოლიტიკა ნეგატიურად იმოქმედებს სასწავლო მიზნით ჩამოსვლის მსურველებზეც. საერთაშორისო სტუდენტი საინტერესო სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს ყველა უნივერსიტეტისთვის, ვინაიდან მათზე ვრცელდება განსხვავებული საგადასახადო პოლიტიკა და მათი სწავლის საფასური 3-ჯერ აღემატება ფიქსირებულ სახელმწიფო სასწავლო გადასახადს. საერთაშორისო სტუდენტების ნაკადის შემცირება მნიშვნელოვნად აისახება იმ უნივერსიტეტების შემოსავლებზე, რომლებიც სწორედ უცხოელ სტუდენტებზე მუშაობენ. უცხოელი სტუდენტების რაოდენობის შემცირება გარდაუვალი იქნება საქართველოში, ვინაიდან ახალი პოლიტიკის თანახმად, გრძელვადიანი ვიზის მისაღებად მკაცრი სავიზო პროცედურების გავლა მოუწევთ აზერბაიჯანელ და თურქ, ისევე როგორც ინდოელ, ნიგერიელ, ერაყელ და შრილანკელ სტუდენტებს. წარმოგიდგენთ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობის სტატისტიკური მონაცემების გრაფას:

**წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2013-2014 აკადემიური წლის მონაცემები, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საქართველოს კერძო და უმაღლეს სასწავლებლებში.**

დალასისა და ბექსლის უნივერსიტეტებში +Cox School of Business, Southern Methodist University; Capital University) ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანიც იყო დაედგინათ, რა ზეგავლენას ახდენს ვიზის მოთხოვნების გამკაცრება ტურისტულ აქტივობაზე. მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით მათ შეიმუშავეს უცხოელი ვიზიტორებისთვის მოგზაურობის სიმარტივის ინდექსი(EOTF – Ease of travel for inbound foreign visitors) და მისი ურთიერთქმედება სავიზო ბარიერებთან მიმართებით. EOTF ინდექსი ქვეყნებს აფასებს 0-100-ქულიანი სისტემით. რაც უფრო ნაკლები სავიზო ბარიერები აქვს ქვეყანას, მით უფრო მაღალი ქულები ეწერება მას შეფასებისას. მაგალითად, აშშ-ს EOTF ინდექსში 20-ქულიანი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ მას მსოფლიოს 20%-მდე ქვეყანასთან აქვს მარტივი ან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, ხოლო დანარჩენ 80%-თან აქვს სავიზო რეჟიმი.

კვლევის საფუძველზე, ავტორების გამოთვლით, ქვეყნის მიერ EOTF ცვლადის 2%-ით გაზრდა, რაც საშუალოდ 3 ქვეყანასთან უვიზო რეჟიმის შემოღებას გულისხმობს, იწვევს ტურისტული ნაკადის საშუალოდ 5%-ით ზრდას ერთი ქვეყნისთვის; ეს კი უდრის 90 000-მდე ვიზიტორს. სავიზო ლიბერალიზაცია ტურიზმის ზრდას იწვევს იმ შემთხვევაშიც, თუ ქვეყანა უვიზო რეჟიმის დაწესებასთან ერთად მნიშვნელოვნად ამკაცრებს სასაზღვრო კონტროლს. სწორედ ამიტომ ქვეყნები ტურისტული აქტივობის გაზრდისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების ინსტრუმენტებს მიმართავენ. EOTF მაჩვენებლის კლება კი იწვევს უკუპროპორციულ ეფექტს. კერძოდ, ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის მოსახლეობისთვის სავიზო რეჟიმის შემოღება განაპირობებს მეორე ქვეყნიდან პირველში ტურისტების ნაკადის 33%-ით შემცირებას ყოველწლიურად.

განვიხილოთ საქართველოს შემთხვევა: 2014 წლის სექტემბრამდე საქართველოს EOTF ინდექსით შეფასება შეიძლება 100 ქულით განვსაზღვროთ, ვინაიდან 121 ქვეყანა სარგებლობდა უვიზო რეჟიმით, ხოლო დანარჩენი 70 ქვეყანა გამარტივებული პროცედურებით საქართველოს საზღვარზე იღებდა ვიზას. ახალი სავიზო პოლიტიკით კი საქართველოს EOTF მაჩვენებელი არის 49 ქულა.

საქართველოში უცხოელი ვიზიტორებისთვის მოგზაურობის სიმარტივის მაჩვენებლის 51%-ით შემცირება აუცილებლად გამოიწვევს ეფექტს მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. კერძოდ, 2013 წლის მონაცემებით იმ ქვეყნების ვიზიტორების რაოდენობა, რომელთანაც აღდგა სავიზო რეჟიმი და გაუქმდა ვიზის საზღვარზე მიღების შესაძლებლობა, შეადგენს 300 000-მდე ადამიანს.

იხ. 9 გვ.

# „ისლამური სახალიფო“ – ანგარიშგასაწევი ძალა

**უდაბნოში დაჩოქილი მსხვერპლი და მის ზურგს უკან შავ სამოსსა და ნიღაბში გახვეული, ხანჯალმომარჯვებული ჯალათი რა ხანია მსოფლიო საზოგადოებისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. „ისლამური სახელმწიფოს“ საზარელმა სავიზიტო ბარათმა, დასაწყისში, პირველი გამოჩენის, ანუ „პრეზენტაციის“ დროს ჟრუანტელი მოჰგვარა მტკიცე ნერვების მქონე ადამიანებსაც, რიგით მეხუთემ – ნაკლები და რაც დრო გავა, თუნდაც გახშირებული თავის მოკვეთის შემთხვევაში, სტატისტიკაში გადასული ტრაგედია მხოლოდ თავმოკვეთილის მშობლებში გამოიწვევს უზომო მწუხარებას, დანარჩენში – თანაგრძნობას მოკლულისა და მისი მშობლებისადმი.**

„სახალიფოს“ ჯალათების მიერ ხუთი თავმოკვეთილიდან სამი ამერიკელია, ცხადია, სირიელ ჯარისკაცთა გამოკლებით, რომლებსაც, ერთ რიგში ჩალაგებულებს, ერთდროულად გააგდებინეს თავები.

„სახალიფოს“ წარმომადგენლები იქადნებიან არა მარტო ამერიკელი სამხედრო ექსპერტების დახოცვით, ერაყში რომ მიავლინა პრეზიდენტმა ობამამ, არამედ ამერიკის ქუჩებში ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტების ჩატარებით.

„სახალიფოს“ ჯიჰადისტთა მუქარას სერიოზულად ეკიდება ვაშინგტონი, შესაბამის ნაბიჯებსაც დგამს უსაფრთხოების მიმართულებით, თუმცა, ჯერჯერობით არცთუ ეფექტიანად და საგნობრივად. საჰაერო დაბომბვები შედეგს არ იძლევა. „სახალიფოს“ მეომრებმა ალღო აუღეს საჰაერო თავდასხმებს და იოლად ახერხებენ თავის დაცვას. „სახალიფოს“ „არმიის“ – სხვას ვერაფერს დაარქმევ უკვე ორასათასიან ჯარს, კარგად შეიარაღებულსა და გაწვრთნილს, პოზიციებს ვერაფერი დააკლო ქურთთა სამხედრო ძალის „პეშმერგას“ მოქმედებამ. არადა, „პეშმერგა“ ახლო აღმოსავლეთში გაწვრთნილ სამხედრო ძალად ითვლება.

„ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“, რომელიც ორი ქვეყნის – ერაყისა და სირიის ტერიტორიებზე (250 ათასი კვ.კმ) განთავსდა, 5 მილიონი მცხოვრებით, ისეთი ძალაა, რომელიც გაცილებით მეტ ყურადღებას ითხოვს დიდი სახელმწიფოების მხრიდან, ვიდრე დღეს.

ობამას დამოკიდებულება „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ ზედაპირულია. არ შეინიშნება კარდინალური ქმედება აშშ-ის ადმინისტრაციის მხრიდან, რაც თავისთავად განაპირობებს ანალოგიურ დამოკიდებულებას, აშშ-ის მიერ შეკოწიწებულ კოალიციაში, რომელიც იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.

კოალიციას უჭირს წერტილი დაუსვას საკუთარი ქვეყნებიდან „სახალიფოში“ ცოცხალი ძალის გადინებას; ვერ აღკვეთს ფინანსური ნაკადების პერმანენტულობას „სახალიფოს“ მიმართულებით; წერტილს ვერ უსვამს ნავთობით „სახალიფოს“ გაცხოველებულ ვაჭრობას, „სახალიფოს“ ტერიტორიის ტრანზიტად გამოყენებას, რითაც დიდძალი თანხა შედის „სახალიფოს“ ხაზინაში.

ჟურნალ Forbes-ის მიხედვით, „სახალიფო“ არის ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაცია, რომელმაც 24 თვის განმავლობაში ჩამოაყალიბა ფულის შოვნის უზარმაზარი და დახვეწილი მანქანა. ფულის ნაკადები მიედინება სპარსეთის ყურის მდიდარი ქვეყნებიდან არა მარტო კერძო შეწირულების სახით, არამედ „სახალიფოს“ ტერიტორიაზე ტვირთების გატარებიდან მიღებული გადასახადების სახით.

„სახალიფოს“ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე განლაგებულია ნავთობის საბადოები და ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები. მათ მიერ წარმოებული საწვავი, „სახალიფოს“ შემოსავლის მთავარი წყაროა, რომელსაც სიიაფის გამო, მწყურვალებივით ეწაფებიან ახლომდებარე ქვეყნები. „სახალიფო“ 20-25 დოლარად ყიდის ბარელ ნავთობს, როდესაც ბაზარზე 80 დოლარია.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ცნობით, სირიისა და ერაყის ტერიტორიები, რომლებიც ამჯერად „სახალიფოს“ მიერ არის დაპყრობილი, დღეში ერთი მილიონი დოლარის შემოსავალს იძლევა, ისრაელის მონაცემებით – 3-ჯერ მეტს.

„ისლამური სახალიფოს“ პირველობა მსოფლიოში არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის უცილობელია.

მონაცემების მიხედვით, „სახალიფო“ მნიშვნელოვნად უსწრებს „ჰამასს“ (რომელიც მეორე ადგილს იკავებს, ნიგერიის „ბოკო ხარამს“, კოლუმბიის „ფარკს“ და „ალ-ქაიდას“, რომელსაც ბენ ლადენის სიკვდილის შემდეგ უჭირს დიდი ფინანსების მოძიება. „ალ-ქაიდა“ ნაკლებად იღებს სპარსეთის ყურის მდიდარი ქვეყნების ფინანსურ დახმარებას, შეწირულობის სახით, ვინაიდან წყარო, საიდანაც ფინანსური ნაკადი მიედინებოდა, ამჯერად „სახალიფოს“ გამგებლობაშია.

ცნობისთვის – „სახალიფომ“ და „ალ-ქაიდამ“ საერთო ენა გამონახეს და მზად არიან იბრძოლონ გაერთიანებული ძალებით. 2014 წლის აგვისტოში ერაყისა და სირიის ტერიტორიებზე შექმნილმა „ისლამურმა სახალიფომ“ ოფიციალურად დაიწყო თავისი არსებობა, რაც, ცხადია, მოულოდნელი იყო მსოფლიო საზოგადოებისთვის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ამისთვის მზად უნდა ყოფილიყო, წინმდევი მოვლენებიდან გამომდინარე.

წინა ისტორია კი ასეთი იყო – ერაყში აშშ-ის მიერ გაჩაღებული ომი; სადამ ჰუსეინის ჩამოგდება და სიკვდილით დასჯა; სამოქალაქო ომის გაჩაღება სირიაში და მასში მონაწილე ჯიჰადისტური ძალებისადმი ფინანსური დახმარება.

ჯერ კიდევ ამერიკელთა მიერ ერაყის ოკუპაციის დროს, ბაღდადის სამხრეთ-დასავლეთით, ე.წ. სუნიტურ სამკუთხედში, ჩაისახა სუნიტებთან დაკავშირებული სამხედრო-პოლიტიკური ჯგუფები, რომელთა შორის იყვნენ სადამ ჰუსეინის პარტია „ბაასის“ წევრები და სამხედრო მოსამსახურეები. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ სირიის ბაშარ ასადის წინააღმდეგ მებრძოლი რადიკალური ისლამის წარმომადგენლები.

აშშ-მა დაამხო რა სადამ ჰუსეინის რეჟიმი, დაანგრია ხელისუფლების სუსტი ეთნოკონფესიური ბალანსი. სახელმწიფოებრიობის საძირკველს და ძალოვან სტრუქტურებს შეადგენდნენ არაბი სუნიტები, რომლებიც განიდევნენ პოლიტიკური ცხოვრებიდან ახალი ელიტის, არაბი შიიტების მიერ, რამაც ახალი ძალით ააფეთქა სუნიტებისა და შიიტების მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირება.

გაცილებით უფრო უხეშად ხდებოდა გარე ძალების დაპირისპირება სირიის ხელისუფლებასთან. სუნიტურ საპროტესტო ძალებს აქტიურად უჭერდნენ და უჭერნენ მხარს აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, თურქეთი, სპარსეთის ყურის მონარქიები, იორდანია, სხვა არაბული ქვეყნები. ქმნიდნენ რა დამასკოს საწინააღმდეგო თავისუფალი სირიის არმიას, ასადის მოწინააღმდეგე დასავლელმა და ზემომოყვანილმა ქვეყნებმა ყურადღება არ მიაქციეს თვით ამ არმიაში რადიკალური ისლამური ძალების გაჩენას – ისეთისას, როგორებიცაა “ჯებხატ ან-ნუსრა“, „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“.

ვაშინგტონის გათვლა იყო მარტივი – ამ ძალების გამოყენება სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის წინააღმდეგ, ხოლო მათი გამარჯვების შემდეგ, რადიკალებთან ანგარიშსწორება. ამერიკელები შეცდნენ, უნებლიეთ თუ შეგნებულად, ღმერთმა იცის.

მოძლიერებულმა ჯიჰადისტებმა თავის რიგებში გააერთიანეს სირია-ერაყის ანტისამთავრობო ძალები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტერორისტები და მთელს მსოფლიოს გამოუცხადეს ჯიჰადი. აგრესიულმა ლოზუნგებმა, „უწმინდოთათვის“ თავების მოკვეთამ, სხვა ტერორისტულმა გამოხდომებმა გამოაფხიზლეს აშშ და მისი მოკავშირეები. სასწრაფოდ შეკოწიწდა კოალიციაც, თუმცა, მისი ბრძოლა შედეგს არ იძლევა. როგორც ჩანს, საჰაერო თავდასხმებით „სახალიფოს“ დამარცხება შეუძლებელია. სახმელეთო ოპერაციის დაწყება აშშ-ის მხრიდან ერთი და იგივე მდინარეში მეორედ შესვლას ნიშნავს. არადა, სახმელეთო ოპერაციის გარეშე ომის მოგება ზღაპარია.



აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოდ იბადება კითხვა – როგორ განვითარდება მოვლენები? სრულიად შესაძლებელია, რომ „სახალიფომ“ შეძლოს პოზიციების განმტკიცება და დაპყრობილ ტერიტორიებზე „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნისთვის შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბება. აღნიშნულის განსახორციელებლად საჭირო იქნება „სახალიფოს“ მმართველთა მხრიდან სალაფიტურ-ვაჰაბიტური შეხედულებების ჩანაცვლება შედარებით ლმობიერი, პრაგმატული შეხედულებებით.

ირანის საზღვართან არაბულ-სუნიტური სახელმწიფოს შექმნა, სპარსეთის ყურის სახელმწიფოების ინტერესში შედის, ისე, როგორც თურქეთის და აშშ-ის. დაიშლება ერაყი – ერაყის ქურთისტანად, ისლამის „სახალიფოდ“ და ერაყის შიიტების სახელმწიფოდ. ამ ვარიანტს აქვს პერსპექტივა, ვიდრე ასეთს: „ისლამის სახალიფოს“ ბრძოლას „ურწმუნოთა“ – შიიტების, ქურთების, ქრისტიანების, პროდასავლური სუნიტების წინააღმდეგ. ამ გეგმით სავარაუდოა „სახალიფოს“ ტერიტორიების გაფართოება ახალი, დაპყრობილი მიწების ხარჯზე. არ არის გამორიცხული ბაღდადისა და დამასკოს აღებაც.

არის მესამე ვარიანტიც – საჰაერო დაბომბვებით თვით „სახალიფოს“ მმართველობაში ქიშპის ჩამოგდება, ერთმანეთს შორის ჯანყის ორგანიზება და „სახელმწიფოს“ მრავალ პატარა სამხედრო ნაწილებად დაყოფა.

„ისლამური სახელმწიფოს“ მომავალი არსებობის აღნიშნული ვარიანტები იშვიათად, მაგრამ მაინც ქვეყნდება დასავლურ პრესაში. ზოგი რამ მისაღები და საყურადღებოა და გასათვალისწინებელი ვაშინგტონის, ბრიუსელის მიერ. მაგრამ პოლიტიკური სიბეცე ან უფრო ზუსტად ღორმუცელობა, მოსალოდნელი დიდი ნადავლის ხელში ჩაგდების სახით, თვალს უბრმავებს აშშ-ის ადმინისტრაციას.

დიდი ნადავლი არა მარტო ბაშარ ასადის ხელისუფლების დამხობა და სირიის ხელში ჩაგდებაა, არამედ ახლო აღმოსავლეთში გავლენის მკვეთრი გაფართოება და არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ უკრაინაში. ავსტრალიაში G-20 სამიტის ფარგლებში პრეზიდენტ ობამას განცხადება, რომ მსოფლიოს ებოლა და რუსული აგრესია და არა „ისლამური სახალიფო“ ემუქრება, პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის ახლომხედველობის ნათელი მაგალითია.

ნაცვლად იმისა, რომ თეთრმა სახლმა რუსეთი ჩართოს მსოფლიოს ახალ გამოწვევასთან ბრძოლაში, რუსეთს ასახელებს აგრესორად. ნაცვლად იმისა, რომ პრეზიდენტმა ობამამ ახლო აღმოსავლეთის ავტორიტეტული მოთამაშე ირანი, ურომლისოდაც „სახალიფოს“ წინააღმდეგ წარმატებული ომი შეუძლებელია, ჩართოს საქმეში, ირანის მიმართ დაწესებული სანქციებს კიდევ ერთი წლით აგრძელებს შემდეგი განმარტებით – „ვინაიდან ირანთან ჩვენი ურთიერთობები ჯერაც არ არის ნორმალიზებული“.

ამასობაში „ისლამური სახალიფო“ ძალებს იკრებს – ფინანსურად, მატერიალურად, ცოცხალი ძალით, თანამედროვე შეიარაღებით. იზრდება რადიკალური ისლამის პოპულარობაც, რომელმაც ფართო გასაქანი პოვა დასავლური მორალისა და ღირებულების დაცემის ფონზე. სერიოზული საფრთხის გავრცელების შესაძლებლობა ჩნდება „ისლამური სახალიფოს“ „მოსახლეობის“ სხვა ქვეყნებში გადასვლის სახით.

აღნიშნული „სახალიფოს“ „ალ-ქაიდასთან“ და „თალიბანთან“ დაახლოებით, „ისლამური სახალიფოს“ მიზიდულობის ძალა დღითი დღე იზრდება, თან ეკონომიკურად და სოციალურად მეტ-ნაკლებად ძლიერ ქვეყნებში, როგორებიცა ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნები.

„სახალიფოს“ პოპულარობამ განაპირობა აღნიშნულ ქვეყნებში მცხოვრები ისლამური და არაისლამური წარმოშობის გოგონების დაუოკებელი სურვილი სულით და ხორცით ჩაბარდნენ „სახალიფოს“ არმიის ჯიჰადისტ მებრძოლებს. და ეს მარტო მშრალი დეკლარაცია არ არის. მას რეალური საქმეები ახლავს თან – გოგონათა მასობრივი გამგზავრება თურქეთ-სირია-ერაყში, იქიდან „სახალიფოში“.

„ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელს მსოფლიოს და მათ შორის კავკასიასაც. „სახალიფოს“ მოწოდებების მიხედვით, ბრძოლა „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ უდავოდ გაიმართება და პირველ დარტყმებს იგემებენ როგორც აშშ-სა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე რუსეთსა და კავკასიაში.

რა სახის შეტევას უნდა ველოდოთ ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული ექსტრემისტული „სახალიფოსგან“?

უპირველეს ყოვლისა, ეს არ იქნება „სახალიფოს“ არმიის პირდაპირი შეტევა კავკასიის ქვეყნებზე. ეს იქნება სხვაგვარი შეტევა, მეტად შეფარული, იმ მეომრების მხრიდან, რომლებმაც ოფლითა და სისხლით დაუმტკიცეს „სახალიფოს“ თავიანთი სურვილი – მუდამ მხარში ედგნენ და მათი იდეების გამტარებლები იყვნენ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ასეთთა რიცხვი, არაბული მონაცემებით, 15 ათასია, ანუ 15 ათასი მეომარი, კავკასიის მარტო ორი ქვეყნიდან აზერბაიჯანიდან და საქართველოდან.

რაც შეეხება სომხეთს – ის „სახალიფოს“ ჯიჰადისტებს ცოცხალი ძალით არ ამარაგებს, უპირველესად იმიტომ, რომ ქვეყანა მონოეთნიკური და მონორელიგიურია.

საქართველოში დაბრუნებული ჯიჰადისტები როდის და როგორ აამოქმედებენ „სახალიფოს“ წინაშე დადებული ფიცის მექანიზმს – ღმერთმა უწყისს.

მართალია, მთავრობა აცხადებს, რომ მსგავსს ადგილი არ ექნება, მაგრამ „სახალიფოს“ ვერავინ დაარწმუნებს, რომ ნატოს სასწავლო ბაზაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის განცხადებით გაიხსნება საქართველოში (ეს განცხადება გაკეთდა მისი ბრიუსელში ვიზიტის დროს ა.წ. 17-18 ნოემბერს), არ იქნება გამოყენებული „სახალიფოს“ წინააღმდეგ.

საქართველო გაცილებით რთულ მდგომარეობაშია, ვიდრე აზერბაიჯანი, ვინაიდან აზერბაიჯანი სუნიტური სახელმწიფოა, ისეთივე, როგორც „ისლამური სახალიფო“. აზერბაიჯანის კანონმდებლობის მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლის გარეშე აკრძალულია საზღვარგარეთის თეოლოგიურ ინსტიტუტებში სწავლა.

საქართველოში მსგავსი რამ არ არსებობს, რაც საშუალებას აძლევს დიდი თურქეთის შექმნის იდეოლოგ ფეტულა გიულენს, ასობით აჭარელი ბავშვი აზიაროს ისლამს. ბაქოს, უსაფრთხოების თვალსაზრისით, შეიძლება თურქეთის იმედიც ჰქონდეს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აზერბაიჯანი არ აცხადებს სურვილს, შეუერთდეს ანტიხალიფურ კოალიციას. ბაქოს რუსეთის დახმარების იმედიც აქვს. ამ ორ ქვეყანას სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს. ბაქო სისტემატურად ყიდულობს რუსულ იარაღს (5 მილიარდი დოლარი), გარდა ამისა კასპიის ზღვის საკითხები, განსაკუთრებით უსაფრთხოება, მათ აახლოვებს.

სომხეთსაც აქვს უსაფრთხოების გარანტიები. ის დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების წევრია. გარდა ამისა, სომხეთს კარგი ურთიერთობა აქვს ირანთან – „ისლამურ სახალიფოსა“ და, საერთოდ, ტერორიზმთან დაუძინებელ მებრძოლ სახელმწიფოსთან.

ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობა ტერორიზმთან ბრძოლაში საყურადღებოა. კრიტიკული ვითარების შემთხვევაში აზერბაიჯანს აქვს ირანის დახმარების იმედი, რაც, ცხადია, საქართველოს არ გააჩნია. „ოცნების“ ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა ნატო-ევროატლანტიკური სივრცის მოსახიბლად, მაგრამ იქიდან საგნობრივი დახმარების ნაცვლად, ზეპირი დაპირებების მეტი არაფერი მიუღია.

გარდა ამისა, დაიძაბა რუსეთსა და ირანთან ურთიერთობა. პირველი გააღიზიანა ბოლოდროინდელმა განცხადებებმა ნატოს სასწავლო-საწვრთნელ ბაზასთან დაკავშირებით, მეორე – სავიზო საკითხების გაუარესებამ და ირანელთა მიმართ საბანკო შეზღუდვების დაწესებამ.

კავკასია სწორედ ის რეგიონია, რომელსაც გამადიდებელი შუშით უყურებს რეგიონის მეზობელი ქვეყნებიც და არამეზობლებიც, აშშ-ის სახით. კავკასია, ხიდია დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის. ისევე, როგორც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ამ ხიდის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების მსურველი ბევრია, მათ რიცხვს ახალი სახელმწიფო – ე.წ. „ისლამური სახალიფოც“ ემატება – ძალა, ანგარიშგასაწევი, დასაფიქრებელი, შესაბამისი დასკვნების გაკეთების მაიძულებელი.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# 10 უმდიდრესი ქართველი პარლამენტარი

**ცოტა ხნის წინათ, „ლეიბორისტულმა პარტიამ" საზოგადოებას საქართველოს ყველაზე მდიდარი პარლამენტარების სია წარუდგინა.**

**ეს ადამიანები წლების განმავლობაში საქმიანობდნენ საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღეს კი მათ სახელს მილიონებად შეფასებული ქონება უკავშირდება... ყველაზე მდიდარი ქართველი პარლამენტარების ქონებას უფრო დეტალურად გავეცანით და ამისთვის სხვადასხვა ოფიციალური და კულუარული ინფორმაცია მოვიშველიეთ.**



**დავით ბეჟუაშვილი** – თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი, 2008 და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კვოტით გახდა, თუმცა „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ ნაციონალური მოძრაობიდან წამოვიდა. მას წლების განმავლობაში აკრიტიკებდნენ გაუმჭვირვალე ბიზნესსაქმიანობის გამო. თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ დავით ბეჟუაშვილი 1994 წლიდან არის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ორი კომპანიის – CHEME\IM INTERNATIONAL LTD-სა და KEMBLE TRAD6NG LTD-ის პარტნიორი. CHEME\IM INTERNATIONAL LTD ფლობს საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს, რომლის საკუთრებაში არაერთი მსხვილი ქართული კომპანიაა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" 2011 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა, რომ ბეჟუაშვილის კომპანიები მარშალის კუნძულებსა და კვიპროსზეა რეგისტრირებული. საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ფლობს 8 ჰიდრო და 1 თბოელექტროსადგურს, შპს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფს", რომელიც ამუშავებს ტყიბულში ძიძიგურისა და მინდელის სახელობის ქვანახშირის საბადოებს, ასევე ფლობს შპს „ტიფლის სითის", ქუთაისის ავტომექანიკურ ქარხანას, „ქართული ლუდის კომპანიას" და „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას". ჰოლდინგის მონაცემებით, ენერგოკომპანიების გამოკლებით, სხვა შვილეული კომპანიების შემოსავლებმა მარტო 2011 წელს 52 მილიონი ლარი შეადგინა, აქტივებმა კი – 105 მილიონი ლარი. **„ლეიბორისტების" მიერ შედგენილ სიაში ის 1 მილიარდიანი ქონებით მოხვდა.**

**კობა ნაყოფია** – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ინფორმაციით, ჩვენს პარლამენტარებს შორის ყველაზე მეტი, ანუ 7 ავტომობილი კობა ნაყოფიას და მისი ოჯახის წევრებს აქვთ. კობა ნაყოფია კანარის კუნძულებზე 300 კვ.მ ფართის აგარაკს ფლობს. გარდა ამისა, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ის მოსკოვში 55 კვ.მ ფართის ბინას ფლობს, მასვე ეკუთვნის საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გალში და მიწის ნაკვეთი თბილისში, დიღმის მასივში, რომლის ფართობიც 11 301 კვ.მ-ია. ნაყოფია ჭავჭავაძის გამზირზე 198 კვ.მ ფართის ბინის მფლობელია, ხოლო მისი მეუღლე ელგა სოფია მოსკოვში, 167 კვ.მ ფართის ბინის მფლობელი. სოფია თბილისშიც ფლობს ორ საცხოვრებელ და ორ მშენებარე ბინას. ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ბინის მფლობელია მისი ვაჟი – ნიკოლოზ ნაყოფია. კობა ნაყოფია დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში 1670 კვ.მ ფართის მშენებარე საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეც არის. 1994-2004 წლებში ნაყოფია რუსეთში, კერძო სექტორში მუშაობდა. 2004 წელს დაბრუნდა საქართველოში და გახდა ოქროს მომპოვებელი საწარმოს „მადნეულის" გენერალური დირექტორი. საინტერესოა, რომ ის ფილმის „აგვისტოს 5 დღე" პროდიუსერია. **არაოფიციალური მონაცემებით, მისი ქონება დაახლოებით 800 მილიონ დოლარად არის შეფასებული.**

**გოგი თოფაძე** – 2013 წელს შედგენილ 50 უმდიდრესი ქართველის სიაში გოგი თოფაძე 33-ე ადგილზე მოხვდა. ის წლების განმავლობაში ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას და არაერთი კომპანიის პარტნიორი იყო, მანვე დააარსა კომპანია „ყაზბეგი", ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ მოძრაობას – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", შემდეგ კი, „მრეწველთა" ფრაქციის ხელმძღვანელი გახდა. ქონებრივ დეკლარაციაში, რომელიც 2013 წლის დეკემბერშია შევსებული, ვკითხულობთ: თოფაძის მფლობელობაშია 10 ათასი კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი ქალაქ მცხეთაში, ასევე – მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ბინა ვაკეში – მცხეთის ქუჩაზე. მისი მეუღლის, მარინა თოფაძის სახელზეა გაფორმებული მიწის ნაკვეთები წყნეთში. თოფაძეების ოჯახს ეკუთვნის ავტომანქანა „მერსედეს ბენცი", რომელიც 2010 წელს არის გამოშვებული და ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილო. გოგი თოფაძე სს „ყაზბეგის" აქციონერია. ქონებრივ დეკლარაციაში მიუთითებს, რომ კომპანიაში მისი ფასიანი ქაღალდების ღირებულება 584 608 ლარია. გოგი თოფაძეს რამდენიმე ანგარიში აქვს გახსნილი „ქართუ ბანკში". **თოფაძისა და მისი ოჯახის ქონება სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ჯამში 600 მილიონ დოლარად ფასდება.**

პარლამენტარ **გოგი ლიპარტელიანის** საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი დაბა წყნეთში, ხოლო მისი მეუღლის, ნაზი ლიპარტელიანის მფლობელობაში – მსუბუქი ავტომანქანა, საცხოვრებელი სახლი თბილისში, საცხოვრებელი სახლი მცხეთაში, ასევე მიწის ნაკვეთები თბილისში, წავკისსა და მცხეთაში. გოგი ლიპარტელიანი სს „ელექტროავტომატში" 57 430 დოლარის ღირებულების აქციის მფლობელია, მისი მეუღლე კი – ამავე კომპანიაში 34 714 დოლარის აქციისა. მიმდინარე ანგარიშზე დეპუტატს 2 300 ლარი ერიცხებოდა. დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული 165 000 ლარის ოდენობით ჰქონდა. გოგი ლიპარტელიანის მეუღლე ნაზი ლიპარტელიანი არის პარტნიორი რამდენიმე კომპანიაში: შპს „სპეროზა", შპს „გამა", „ტრანს გაზი", შპს „ბიოსფერო". ამიტომაც არის, რომ **ლიპარტელიანის სახელს 500-მილიონიან ქონებას უკავშირებენ.**

„ქართული ოცნების" მაჟორიტარ დეპუტატს **ვალერი გელაშვილს** ვენესუელაში, მარგარიტის კუნძულზე 160 კვ.მეტრი ფართობის ბინა და 53 300 კვ.მ მიწის ფართობი ეკუთვნის. მისი მეუღლის, დანგუოლე გელაშვილის სახელზეა გაფორმებული ლიტვაში, ქალაქ ვილნიუსში არსებული 720 კვ.მ. ფართობის ბინა. ვალერი გელაშვილი ხაშურში დაიბადა და იქაც აქვს სახლი და მიწის ნაკვეთი. მის დეკლარირებულ ქონებაში შედის „ტოიოტასა" და „ჰამერის" მარკის ავტომობილები. ვალერი გელაშვილის ქონებაში შედის აგრეთევ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, 14 ნომერში არსებული საცხოვრებელი ფართი, სადაც მან რამდენიმე ბინა შეისყიდა. მისი მეუღლის სახელზეა გაფორმებული კიდევ ერთი ბინა თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე. დეკლარაციაში, ნაღდი ფულის გრაფაში გელაშვილმა 1 მილიონ 300 ათასი ლარი მიუთითა, ხოლო კრედიტად – 353 ათასი დოლარი. მის მიერ ლიტვაში დაფუძნებული კომპანიის მფლობელი ამჟამად მისი მეუღლეა, ხოლო შვილეული კომპანიების მფლობელი მისივე ვაჟი – ვალერი გელაშვილია, რადგან მას, როგორც საჯარო მოხელეს, ბიზნესში მონაწილეობის უფლება არა აქვს. **„ლეიბორისტებმა" მას 400 მილიონი დაუთვალეს.**

მაჟორიტარი დეპუტატის **კახაბერ ოქრიაშვილის** ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მის საკუთრებაშია არასაცხოვრებელი ფართი თბილისში, ორი ბინა დმანისში, საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი სოფელ განთიადში, ასევე – საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი წავკისში. მეუღლის, ლინა თოფურიას საკუთრებაშია ბინა და არასაცხოვრებელი ფართი – თბილისში. კახა ოქრიაშვილი აქციონერია სს „ელექტრონიკაში". დეკლარაციის შევსების დროს მიმდინარე ანგარიშზე ერიცხებოდა 16 811 ლარი. მისი მეუღლე ლინა თოფურია სს „ეგისის" დირექტორია. ამ საქმიანობიდან მან ბოლო ერთი წლის განმავლობაში 76 669 ლარი მიიღო. კახაბერ ოქრიაშვილის დაფუძნებულია შპს „პსპ ფარმა" და შპს „ჯეომედი". მხოლოდ „პსპ"-დან მიღებულმა შემოსავალმა ერთი წლის განმავლობაში 6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო პარლამენტის წევრობიდან ერთი წლის განმავლობაში შემოსავალი 46 860 ლარი მიიღო. **„ლეიბორისტების" მიერ შედგენილ სიაში ის 300-მილიონიანი ქონებით მოხვდა.**

ხობის მაჟორიტარმა **გოდერძი ბუკიამ** ქონებრივი დეკლარაცია 2014 წლის 23 მაისს შეავსო. ოჯახის წევრებში მითითებულია მეუღლე – მანანა კვირიკაშვილი, რომლის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი წავკისში. დეპუტატს დეკლარაციის შევსების დროს სახელფასო ანგარიშზე 2 500 ლარი ერიცხებოდა. დანარჩენ ანგარიშებზე – 12 000 და 1700 ლარი. მის მეუღლეს მიმდინარე საბარათე ანგარშზე 10 000 ლარი ჰქონდა. გოდერძი ბუკია 2008 წლიდან შპს „სისტემ ნეტის" პარტნიორია. თუმცა, დეკლარაციაში კომპანიიდან მიღებული შემოსავალი აღრიცხული არ არის. პარლამენტიდან ხელფასის სახით გასულ წელს მან 55 485 ლარი მიიღო. **სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მისი ქონება 250 მილიონ დოლარად ფასდება.**

**ზურაბ ტყემალაძე** საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეა, მინიჭებული აქვს პროფესორის წოდება. ის არის ოცამდე სამეცნიერო შრომის ავტორი, გამომგონებელი და 15-მდე ქართული ღვინის მარკის ავტორი. ტყემალაძე არის საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მას ქონებრივი დეკლარაცია 2012 წლის დეკემბერში აქვს შევსებული, რომელშიც ვკითხულობთ, რომ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე აქვს ბინა, რომლის ფართობი 205 კვ. მეტრია, მის მფლობელობაში შედის მიწის ნაკვეთი და ავტოფარეხი, აგრეთვე მსუბუქი ავტომანქანა „პეჟო 607" და სს „თბილხელსაწყოს" ფასიანი ქაღალდები 68 500 დოლარის ოდენობით. ნაღდი ფულის რაოდენობა, რომელიც დეკლარაციაში აქვს მითითებული, ასე გამოიყურება: 17 ათასი დოლარი, 3 500 ევრო, 75 ათასი ლარი. იქვე მითითებულია, რომ ბატონი ზურაბი შპს „საამოსა" და შპს „აგუნას" პარტნიორია. **ზურაბ ტყემელაძის ქონება არაოფიციალურად დაახლოებით 200 მილიონ დოლარად არის შეფასებული.**

**გოჩა ენუქიძე** ამბროლაურის მაჟორიტარი დეპუტატია. მან ქონებრივი დეკლარაცია 2014 წლის 24 მაისს შეავსო. დეპუტატის საკუთრებაშია ბინა თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე, წყნეთსა და ბათუმში. მის მფლობელობაშია არასაცხოვრებელი ფართი აბაშიძის ქუჩაზე, არასაცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთი ყიფშიძის ქუჩაზე, ასევე, მიწის ნაკვეთი რაჭაში, ამბროლაურის რაიონში და საგურამოში. მისი მსუბუქი ავტომანქანა Volkcwagen.2012. FXF101. გოჩა ენუქიძეს რამდენიმე ბანკში აქვს ანაბარი. ერთ-ერთ ბანკში 60 000 ევრო, დანარჩენებში – 100 000 ევრო, 50 000 ევრო, 9 710 ლარი. დეპუტატი წილებს ფლობს არაერთ კომპანიაში, მაგრამ ქონებრივ დეკლარაციაში მხოლოდ რამდენიმე კომპანიიდან მიღებული შემოსავალია აღრიცხული. იქვე წერია, რომ პარლამენტის წევრობით მიღებულმა შემოსავალმა ერთი წლის განმავლობაში 50 844 ლარი შეადგინა. ცოტა ხნის წინ, **„ლეიბორისტული პარტიის" მიერ შედგენილ ნუსხაში ენუქიძის ქონება 200 მილიონ დოლარად შეფასდა.**

**ნაული ჯანაშია** საქართველოს ორი მოწვევის პარლამენტის წევრია, მარტვილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. ის 18 წლიდან ყაზახეთში, ხოლო მოგვიანებით პეტერბურგსა და მოსკოვში მოღვაწეობდა. ამბობს, რომ აფხაზეთის ომის შემდეგ ყველაფერი დაკარგა და თავისი ქონება რუსეთში, იქაური მეგობრების დახმარებითა და ხელშეწყობით დააგროვა. საქართველოში 2008 წელს დაბრუნდა. ნაული ჯანაშიას თავის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ ფლობს ბინას მოსკოვში, ბალდაის გზატკეცილზე, მის საკუთრებაში შედის 200 კვ. მეტრი ფართობის მქონე სახლი და 1200 კვ. მეტრის ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი მოსკოვში – „პასიოლოკ დრუჟბაში". კიდევ ერთი მიწის ნაკვეთი, რომელიც დეპუტატის დეკლარაციაშია მითითებული, 528 კვ.მეტრს შეადგენს და მარტვილში მდებარეობს. მასვე ეკუთვნის 73 200 დოლარად ღირებული ავტომობილი „ტოიოტა", „ვოლვოსა" და „მერსედესის" მარკის ავტომობილები, სამსართულიანი სახლი და 3000 კვ მეტრი მიწის ფართობი თბილისში, დიდ დიღომში. დეპუტატს თავის რაიონში ორი ეკლესია აქვს აგებული, მანვე გაარემონტა დადიანების სახელობის რეზიდენცია, რომელიც მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში მდებარეობს. **ჯანაშიას ქონება „ლეიბორისტების" სიაში ბოლო პოზიციაზე 100 მილიონი დოლარით მოხვდა.**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ პროექტები, რომლებმაც ქართული სოფელი უნდა გააძლიეროს

# 70 მილიონ ლარამდე მარტო მელიორაციის მიმართულებით დაიხარჯება



**სოფლის მეურნეობა ყოველთვის იყო მიჩნეული ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს სფეროდ. გამონაკლისი ამ მხრივ არც თანამედროვე ეპოქაა. bpn.ge სოფლის მეურნეობის მინისტრს ოთარ დანელიას სამომავლო გეგმებსა და უმნიშვნელოვანეს პროექტებზე ესაუბრა.**

**— იმ პროექტებს შორის, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემუშავდა, ალბათ უმნიშვნელოვანესია ჯიშთა გამოცდის პროექტი. უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რას ითვალისწინებს ეს პროექტი?**

— ჩვენს სამინისტროში ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ ჯიშთა გამოცდა გახლავთ. რა თქმა უნდა, გამორჩეულ ყურადღებას ვაქცევთ ხორბალს. სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა ზოლში უკვე დათესილია ხორბლის სხვადასხვა ჯიში, რათა მათი კვლევა და სელექცია დავიწყოთ, თუმცა, ეს არის პროცესი, რომელსაც დრო სჭირდება. გარდა ამისა, სამინისტროში იქმნება თესლის სერტიფიცირების ცენტრი, რომელიც მომავალი წლის დასაწყისიდან დაიწყებს თესლის სერტიფიცირებას, რადგან თესლის ხარისხი ლაბორატორიულად უნდა იყოს შემოწმებული. აქამდე იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოდან უკვეთავდნენ სხვადასხვა თესლს და აქ ჩამოდიოდა არა ის ხარისხი, რაც საჭირო იყო. ეს იმის ბრალია, რომ არ არსებობს სერტიფიცირება და არ არსებობს კვლევის შესაძლებლობები. ამიტომ, ეს პროექტი პირველ რიგში ფერმერისათვის ხარისხიანი თესლის მიწოდებას ითვალისწინებს.

**— გენმოდიფიცირებულ თესლს გულისხმობთ?**

— შეიძლება ეს იყოს გენმოდიფიცირებული თესლი, მაგრამ მე ახლა გესაუბრებით ნებისმიერი თესლის შემადგენლობაზე, რომელსაც საქართველოში ვერ ვამოწმებდით, ამიტომ, სერტიფიცირების პრაქტიკის დანერგვა აუცილებელია. ამავე დროს, საჭიროა ჯიშების სელექციაც, დარაიონებაც, აქ მხოლოდ ქართულ ჯიშებზე არ არის ლაპარაკი. ჩვენ დაახლოებით 25-წლიანი ჩამორჩენა გვაქვს ამ მიმართულებით. ამ წლებში მეცნიერება ყველა მიმართულებით განვითარდა, მათ შორის, ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც და ჩვენ მათი გამოცდილებით აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ. გაისიდან კიდევ უფრო მეტის გაკეთებას ვაპირებთ: თურქეთიდან ვაპირებთ საინტერესო სახეობის თესლის შემოტანას, რათა შემდეგ მათი ადაპტაცია მოხდეს, დარაიონდეს და ჩვენს ბაზარზე ადგილობრივი, ქართული თესლი გაჩნდეს. დღეს მთავარი პრობლემა სწორედ ეს არის: შეიძლება გვალვაც იყოს პრობლემა, შეიძლება სხვა რამ, მაგრამ ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი პრობლემა არის ის, რომ თესლი ან უვარგისია, ან არასწორად არის შერჩეული. ჩვენ უნდა მივიღოთ ოპტიმალური და საუკეთესო შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში — იქნება ეს ქართული ჯიშები, თუ სხვა ჯიშები, რომელსაც საქართველოში გავახარებთ. ჩვენთვის პრიორიტეტია, რომ ქართული ჯიშები აღდგეს, თუმცა, ნებისმიერ სხვა კონფიგურაციასაც არ გამოვრიცხავთ. საქართველო თავისი კლიმატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ამიტომ, რაც სამცხეში შეიძლება კარგი იყოს, იმან შეიძლება კახეთში ვერ გაამართლოს, ამიტომ, რეგიონების მიხედვით უნდა შევარჩიოთ, სად რა თესლი უნდა იყოს გამოყენებული და სწორი რეკომენდაციები მივცეთ. ალბათ გახსოვთ რაც მოხდა „პიონერის" თესლთან დაკავშირებით: ეს იყო სწორედ გაუთვლელობისა და არასწორი მიდგომის ნიმუში. ყველგან ვერ იხარა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ ვარგოდა, უბრალოდ, არასწორად იყო შერჩეული კლიმატი და ნიადაგი, სადაც დათესეს. ამ საკითხებს სჭირდება სერიოზული კვლევა, შესწავლა, რისთვისაც სულ მცირე, 3-4 წელი მაინც დაგვჭირდება.

**— ცნობილი ფაქტია, რომ წელს საქართველოში ხორბლის მოსავალი შემცირდა. რას უნდა დავაბრალოთ ეს?**



— ხორბლის მოსავლის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ თესლი იყო. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოების საკითხიც. ხორბალი ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანი პროდუქტია, ამიტომაც გვსურს, რომ მაქსიმალურად გავზარდოთ საქართველოში მოწეული ხორბლის რაოდენობა, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაც მაქსიმალურად იყოს დაცული. თუ დღეს საქართველოში მოწეული ხორბალი მოხმარების 10 პროცენტს აკმაყოფილებს, მისი რაოდენობა უნდა გავზარდოთ 30 და 40 პროცენტამდე, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მინიმალური ნორმები მაინც იყოს დაცული.

**— არანაკლები სატკივარი და პრობლემაა სარწყავი სისტემები. როგორც ვიცით, სამინისტრო სარწყავი სისტემების რეაბილიტაციასაც აპირებს.**

— კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით გავიმეორებ, რომ ჩვენ ვაპირებთ ყველა იმ რაიონის წყლით უზრუნველყოფას, სადაც ამის ფიზიკური შესაძლებლობა იქნება. ბოლო წლებში სამელიორაციო სისტემა მოიშალა, დაზიანდა, გაიძარცვა, ზოგი მწყობრიდანაც გამოვიდა და ა.შ... ამის გამო სამწუხარო რეალობის წინაშე დავდექით, მაგრამ ეს მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ. აქ საუბარია ძველ, ამორტიზირებულ მაგისტრალებზე, მათი რეაბილიტაცია უნდა შევძლოთ, რომ წყალი მივიდეს ყველგან, სადაც ამის საჭიროებაა. მართალია, ამასაც დრო სჭირდება, მაგრამ პროცესი უკვე დაწყებულია, მიმდინარე წელს უკვე 88 ათას ჰექტრამდე ფართობი იქნება წყლით უზრუნველყოფილი, ასევე მნიშვნელოვანია, რომ გლეხებმა ნიადაგის სწორად, პროპორციულად მორწყვა დაიწყონ. კიდევ ერთი, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ, სარწყავი წყლის ლაბორატორიული შესწავლა, მისი კვლევაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ნიადაგს სწორი კვება სჭირდება — თუ წყალი არასწორად იქნება მიწოდებული, მას დამატებითი ღინისძიებები დასჭირდება და თუ ნიადაგი სწორი რაოდენობით, სწორი მეთოდოლოგიით მოირწყვება, ეს მის ნაყოფიერებას გაზრდის. ეს მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საქართველოში ახლა ინერგება. მელიორაციის მიმართულებით ჩვენ სისტემატურად ვმუშაობთ. გამოცხადდება ტენდერები, გვეხმარებიან საერთაშორისო ორგანიზაციები, მეგობარი ქვეყნებიც ხელს გვიწვდიან საკმაოდ დიდი სამელიორაციო პროექტების განხორციელებაში. სადღაც საჭიროა დამშრობი სისტემები, სადღაც კი, პირიქით — სარწყავი და ამის მიხედვით უნდა ვიმუშაოთ. ეს პროექტები პრაქტიკულად ყველა რაიონში განხორციელდება. სადაც დაჭაობებულია, იქ დამშრობი სამუშაოები უნდა ჩატარდეს, მაგრამ სადაც წყალი აკლიათ, იქ სარწყავი სისტემები უნდა დაინერგოს. მომავალ წელს დაახლოებით 70 მილიონი დაიხარჯება მარტო მელიორაციის მიმართულებით.

**— როგორც ვიცი, საქართველოსა და თურქეთს შორის თხილის სექტორში თანამშრომლობის საკითხსაც განიხილავთ. რა ტიპის თანამშრომლობაზეა საუბარი?**

— პირველ რიგში, თხილი არის ერთ-ერთი საინტერესო საექსპორტო პროდუქტი, თურქეთიდან ჩვენ შეგვიძლია ბევრი საინტერესო პრაქტიკა გავიზიაროთ იმიტომ, რომ საქართველოში თხილის ინდუსტრია დამოუკიდებლად განვითარდა — სახელმწიფოს მიერ ყოველგვარი დამატებითი ჩარევის გარეშე. ჩვენ გვაქვს რეალური შანსი, რომ კიდევ უფრო მაღალკონკურენტიანები გავხდეთ თხილის საერთაშორისო ბაზარზე და მოწინავეთა სიაში ვიყოთ. თურქეთთან ვთანამშრომლობთ იმიტომ, რომ იქ აქვთ ექსპერტიზა, აქვთ ძალიან დიდი გასაღების ბაზრები. დღეს რეალიზაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება: შეიძლება პროდუქტი მოიყვანო, მაგრამ არ გქონდეს გასაღების ბაზარი. ამიტომ, თურქეთი ამ მიმართულებით ძალიან კარგი საშუალებაა. ასევე შესაძლებელია მოსავლიანობის გაზრდაც, რაც აგროტექნიკის დახმარებით უნდა მოხერხდეს. სწორი მოვლა-პატრონობითა და ხელშეწყობით, რაც უკვე იციან ყველა იმ ქვეყანაში, სადაც თხილის კულტურაა განვითარებული, მოსავლის რაოდენობა შეიძლება ერთი-ორად გავზარდოთ. ამ დარგში თურქეთის გამოცდილების გაზიარება მართლაც საინტერესო შედეგს მოგვიტანს.

**— თურქი ბიზნესმენებიც აპირებენ ამ დარგში ინვესტიციების ჩადებას?**

— რა თქმა უნდა. ახლახან შვეიცარიელმა ინვესტორმაც განახორციელა ინვესტიცია ზუგდიდის რაიონში, არის დაინტერესება თურქების, აზერბაიჯანელების მხრიდანაც. ზოგმა უკვე განახორციელა ინვესტიციები, ზოგი მომავალში აპირებს. ჩვენთვის ყველა ინვესტორი მისაღებია, რომელიც ამ დარგის განვითარებას ხელს შეუწყობს. ჩვენი მიზანია, რომ ეს დარგი იყოს სტაბილური და მომგებიანი, მით უმეტეს, შესაძლებლობა გვაქვს, რომ ამ დარგში მოწინავეები ვიყოთ და ვართ კიდეც. უკვე დავაფინანსეთ თხილის გადამამუშავებელი საწარმოები, სადაც ათეულობით ადამიანი დასაქმდა. ეს საწარმოები სრულად აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს. მე ამ დარგს შევადარებდი მეღვინეობას, როგორც მეღვინეობა ყალიბდება სტაბილურ და დამოუკიდებელ დარგად, ანალოგიური შეიძლება იყოს თხილის ბიზნესშიც. ამ მხრივ სერიოზული პოტენციალი გვაქვს და სახელმწიფოც აბსოლუტურად მზად არის, რომ ამ დარგს ხელი შეუწყოს.

ესაუბრა
**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ პატივდება

## დაჭრილი მზის ათინათი

**კვირას, გიორგობის ბრწყინვალე დღისადმი მიძღვნილი წირვის შემდეგ, სამების ახალგაზრდულ ცენტრში დაიწყო განხილვა ქართული ერთობის დარბაზის დამფუძნებელთა ფრიად საინტერესო და ამასთან ეროვნული თავისთავადობით გამორჩეული პროექტისა, რომლის დედააზრია გრიგოლ რობაქიძის ცნობილი შეხედულება, რომ „საქართველო დაჭრილი მზეა".**

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამართულ ამ ფრიად საინტერესო და ეროვნულობით გამორჩეულ შეკრებას წინ უძღოდა „ქართული ერთობის დარბაზის" დამფუძნებელთა — რეზო ჩხეიძის, ანზორ ერქომაიშვილის, ტარიელ ხალხელაურის, თემურ გუგუშვილის, ომარ მხეიძის, არნოლდ გეგეჭკორის, რომან რურუას, რამაზ ყურაშვილის, გივი თოიძისა და სხვათა სახელით სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულ საქართველოს დარბაისელთა „პატივდების სიგელით" დაჯილდოება, ნიშნად ქვეყნის წინაშე მათი დამსახურების აღიარებისა.**

**ანა საკანდელიძე**

◉ კაკალ გულში

## წერილოვანი თეზები

● *რა ვქნა ახლა მეეე? — ჩერნიშევსკი.*

● **მოვითხოვ:**

**1. საქართველოს ჰიმნი დაიწყოს ფრაზით: — ვისაც თავზე რა ახურავს!**

**2. განვადება იყოს 40—ზეც და წლისთავი 70%-იანი ფასდაკლებით!**

**3. მარგიშვილს გაეზარდოს ხელფასი და დანამატი!**

● **ხელისუფლებამ უგასაღებოდ რო მოუსმინოს ხალხს, არა?**

● **დათო ტურაშვილის ახალი ინტერნეტრომანი გამოვიდაო და ინტერნეტრომანი რა უბედურებაა, ლაიქებით „იმასშვებიან"?**

● **რესპუბლიკელ ფიზიკოს-კონსტიტუციონალისტ ხმალაძის მეტყველება, — მანერულად მკაფიო და მკაფიოდ სერიოზული, — მამწუხრებს.**

**ასე, შესანდობარს ამბობენ ქელეხის თამადები.**

● NDI-ს კვლევით, უპრინციპულესი ქართველი ქალბატონების 5-ეული:

5. კოჭლი ზოია (გვარი უცნობია);

4. მოკლე ანჟელა (ანჟელა გვარია);

3. მარიკა ვერულაშვილი;

2. მაია ნიკოლაიშვილი;

1. თამარ ბერუჩაშვილი.

● **ამას რას მოვესწარი?**

**ეკა კვესიტაძე იცავს ირაკლი ალასანიას!**

**მე მგონი, უნდა გავბრწყინდეთ, ზეგ თუ არა, მაზეგ!**

● **კახა ბენდუქიძის დაკრძალვაზე სანდრა რულოვსიც ჩამოვიდა... დარწმუნებული ვარ, ანალოგიურ სიტუაციაში, „ნაციონალები" მას დააკავებდნენ, როგორც დააკავეს დედის წლისთავზე ჩამოსული ასლან აბაშიძის ქალიშვილი.**

**აი, ზუსტად ესაა სხვაობა „ნაცებსა" და „ქართულ ოცნებას" შორის, მაგრამ ძალიან ცოტაა ეს!**

● **სისუფთავე რომ ყველგან და ყველაფერში მნიშვნელოვანია, ამაში ყველა ვთანხმდებით, მაგრამ პარლამენტარები რატომ იღებენ სულ ალმკვეთ და უფლებისშემზღუდავ საკანონმდებლო ნორმებს, ეგ მიკვირს.**

**ახლა, აპირებენ დააწესონ (ორი მოსმენით, უკვე მიღებული ყოფილა), სერიოზული საჯარიმო სანქციები ქუჩაში ნაგვის დაყრაზე და კომიკურად მიჯნავენ ერთმანეთისგან ნაგვის ოდენობას, 2 კილომდე და 2 კილოს შემდეგ.**

**ნაგვის რაოდენობის შესაბამისად, იზრდება ჯარიმის ოდენობაც. კიდევ ვიმეორებ, მე, პირადად, სიგარეტის ნამწვსაც არ ვაგდებ ქუჩაში, სხვასაც იგივეს მოვუწოდებ და ორივე ხელით ხმას ვაძლევ სისუფთავეს, მაგრამ ვისურვებდი, რომ ცოტა ტვინი გაენძრიათ კანონმდებლებს და ჩვენი ქვეყნის რეალურ პრობლემებზე დაეხარჯათ თავიანთი დრო, თორემ აკრძალვების მიღებას არც დიდი ჭკუა სჭირდება და არც დიდი ძალისხმევა.**

**ახალი წელი მოდის და ხალხი ისევ ნაგავში იქექება. ორი დღის წინათ, ანგელოზივით სახის, ფეხმძიმე გოგონა შემხვდა ხელგაშვერილი და თავდახრილი. აი, პრობლემა, თქვე დამპლებო.**

**ჭირსაც წაუღია სისუფთავე, როცა ჩემიანს უჭირს!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

მთავარი თემა

**რაულ ხაჯიმბა არჩევნებისწინა დანაპირებს რომ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას ცხოვრების გაუსაძლის პირობებს შეუქმნიდა, „პირნათლად“ ასრულებს. როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ყოფილი შსს-ს თანამშრომელი გიორგი ალანია გვიყვება, არძინბა-ანქვაბის პერიოდში ეთნიკური ნიშნით ყაჩაღობები მინიმუმამდე იყო დაყვანილი, მაგრამ დღეს არნახულ ზღვარს მიაღწია – ყოველ შემთხვევაში გალის რაიონში – აკონკრეტებს ჩვენთან მოსაუბრე. სოფელ ოტობაიაში დღისით-მზისით შედიან ქართველთა სახლებში და დაუფარავად, იარაღის მუქარით გამოაქვთ შემორჩენილი ძვირფასეულობა, ფული. თუ ყოველივე ამას არასაკმარისად მიიჩნევენ, პირდაპირ ოჯახის წევრები მიჰყავთ ახლობლებისგან გარკვეული საფასურის გამოძალვის მიზნით. ხედავენ რა, რომ რუსულ რუბლს ძალა ეკარგება, მოძალადეები თანხას ლარებში, უმეტეს შემთხვევაში კი დოლარების სახით მოითხოვენ. ეს 15-30 ათასს შორის მერყეობს.**

ჩვენთან მოსაუბრე, ადგილობრივ წყაროებზე დაყრდნობით, ამბობს, რომ ყაჩაღობები და ადამიანთა გატაცებები განსაკუთრებით გახშირდა თხილის სეზონის

# იქ, ენგურს გაღმა

## შიში, ფსიქიკური აშლილობა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების ნორმაა

დადგომასთან ერთად. სოფელ ბარღებიდან შედარებით შეძლებული ოჯახიდან 2-3 ტონამდე თხილი წაიღეს. ალანია ყაჩაღობის სხვა ფორმებსაც ასახელებს, როდესაც მოსახლეობას თხილის ჩაბარებას 4 ლარად და 80 თეთრად აიძულებენ, არადა, ზუგდიდში 8.50 ლარად იბარებენ. საზღვრები გამკაცრებულია. გამოტანის მსურველთ ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე ართმევენ მოწე-



ულ მოსავალს და დამატებით აჯარიმებენ კიდეც. ალანია გამოყოფს ერთ საინტერესო ტენდენციასაც. კერძოდ, დე ფაქტო ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურებისთვის თხილის ოფიციალურად ჩამბარებელ და მასში ზუგდიდთან შედარებით განახევრებულ გასამრჯელოს მიმღებ ქართველებს, რამდენიმე საათში კბილებამდე შეიარაღებული ხალხი თავს ესხმის და ართმევს. ცხადია, რომ ინფორმაცია ოფიციალური სტრუქტურებიდან გადის ან ამ ორგანოების თანამშრომლები თავად ყაჩაღობენ, ასკვნის ჩვენი რესპონდენტი.

იგი ასევე ადგილობრივ წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ქართველი მოსახლეობა მორიგი საშიშროების წინაშე დგას. არის ვერსია, რომ მათ ეზოს ტერიტორიის გარდა, მიწის დასამუშავებელი ნაკვეთების ყოველ ჰექტარზე ოფიციალურად 600 ლარის ან მისი ეკვივალენტის გადახდა მოუწევთ ყოველწლიურად. ეს სიახლე გალის რაიონის ქვემო ზონის სოფლების მაცხოვრებლებს ახარეს გალის ქვედა ზონის გამგებლებმა. რა ნიხრი დაუწესდებათ სხვებს, ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მიწაზე გადასახადების აკრეფა ხაჯიმბას ინაუგურაციის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით სიჩუმეა, გვეუბნება ჩვენი ინტერვიუერი, რომელიც გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ფულს ახდევინებენ ძირძველ ქართველებს – გალელებს, როდესაც აპირებენ უცხოელებს (ძირითადად რუსებს) ჩალის ფასად მიჰყიდონ მიწის ნაკვეთები და ჩასახლების უფლება.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული გიზო ვადაჭკორია გვიხსნის, რომ თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების მოქალაქეთა მიერ ბინების ყიდვის აკრძალვის თაობაზე კანონი ჯერ კიდევ 1996 წელს მიიღო სეპარატისტთა პარლამენტმა. მოტივად სახელდებოდა „მიტოვებული სახლების მიმართ ომის შემდგომი სპეკულაციები“. ამ საქმიანობით ძირითადად დაკავებული იყვნენ რუსები. ისინი თავის თანამემამულეებზე მამასისხლად ჰყიდდნენ მიზერულ ფასად შეძენილ უძრავ ქონებას. როდესაც ფასები თითქმის გაუტოლდა რუსეთისას, ხელისუფლებამ შეზღუდვები დააწესა. დღეს მათ, ვისაც ბოლო 6 წელი აფხაზეთში არ უცხოვრია, ბინის შესყიდვის უფლება არ აქვთ. მათ მხოლოდ ახალაშენებულებზე დართეს წვდომის უფლება,მაგრამ იმის გამო, რომ ბოლო დროს იქ არაფერი აშენებულა, უცხოელებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ახალი კანონით გამონაკლისს რუსეთის მოხალისეები წარმოადგენენ.

ბაღაფშისა და ანქვაბის დროს საკითხს უფრო პრაგმატულად უდგებოდნენ – რუსებს ფული აქვთ, დიდ ტერიტორიებს შეიძენენ, დასახლდებიან. აფხაზებს საკუთარ ქონებას ხელიდან გამოაცლიან, გაიზრდება რუსების გავლენა. ასე ხსნის წინა ხელისუფლებების დროს დაწესებულ აკრძალვებს ჩვენი მოსაუბრე და გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გაგრაში 1 კვ.მ საცხოვრებელი ფართი 80 ათასი რუსული რუბლი ღირს, ბიჭვინთაში 70 ათასი და ა.შ. ვადაჭკორია იმის შესახებაც ლაპარაკობს, რომ ქართველთა მიტოვებულ სახლებში მშვენივრად მოეწყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე ჩამოსული რუსები და აფხაზები. ბოლო დროს ამ კუთხით შეიმჩნევა სირიელთა გააქტიურებაც.

### „აფხაზეთი ქართველებისა და ქართულის გარეშე“!

**ხაჯიმბას რეჟიმის დამყარებისა და ქართველთა სრული დისკრიმინაციის პირობებში დაიწყო პასპორტიზაციის ახალი ეტაპი ქართველთათვის. მათ აიძულებენ ჩვენი პასპორტები ჩააბარონ, ამასთან ერთად, აფხაზეთის მოქალაქეობა მიიღონ და უარი თქვან საქართველოზე, ამბობს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული კლარა ბარამია და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ, თუ ცოტა ხნის წინათ დოკუმენეტებში ეროვნება „მეგრელი“ იყო მითითებული, ახლა წერია „აფხაზი“. ვინც ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარს იტყვის, ქონების ჩამორთმევითა და გასახლებით ემუქრებიან. ჩვენთან მოსაუბრე აღშფოთებას ვერ მალავს იმ პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მოსაზრებების გამო, რომლებიც თვლიან, რომ აფხაზური პასპორტის აღება ქართველობაზე უარის თქმას არ ნიშნავს. ლტოლვილი ქ-ნი ამბობს, რომ ეს ყველაფერი ერთი მთლიანი ჯაჭვია სეპარატისტთა და რუსი ოკუპანტების გეგმისა. ამ ჯაჭვის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს იგი აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსი და აფხაზი ე.წ სპეცსამსახურების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განხორციელებულ ეგზეკუციას – დაწვეს და გაანადგურეს სახელმძღვანელოები, ყველაფერი ქართული (კლასგარეშე) ლიტერატურა, გამოჩენილი ქართველი მწერლების პორტრეტები და ა.შ. ისინი მოითხოვენ მოსწავლეთა სრული კურსით რუსულ სახელმძღვანელოებსა და ლიტერატურაზე გადასვლას.**

„აფხაზეთი ქართველებისა და (შესაძლოა, ახლო მომავალში აფხაზებისაც) ყოველგვარი ქართულის გარეშე“ – ასე აფასებს მიმდინარე პროცესებს იძულებით გადაადგილებული კლარა ბარამია და მიაჩნია, რომ ეს კრემლის კარგა ხნის ოცნებაა და ხაჯიმბას ხელით მოჰყავს სისრულეში. იგი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოება ამ საკითხისადმი ინერტულია, რადგან არ შეიმჩნევა ჩვენი ხელისუფლების აქტიურობა. მიღებული რეზოლუციები ფაქტობრივად უმოქმედოა, რადგან მასზე ხელმომწერი ქვეყნების კერძო პირები თუ იურიდიული ფირმები არღვევენ აღიარებულ პუნქტებს, – თვლის ჩვენი რესპონდენტი.

ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში, პოლიტიკური ორგანიზაცია „ევროპული დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია ფლობს ინფორმაციას, რომ რეგიონში უმოწყალოდ იჩეხება ტყე. ნადგურდება უნიკალური ჯიშის ნარგავები. ამ უკანონო ბიზნესით დაკავებული არიან რუსული და თურქული კომპანიები. პოლიტიკოსი ამბობს, რომ ოფიციალურობის დასადასტურებლად უცხოელებს ოფისების (წარმომადგენლობების) გახსნას სთხოვენ. გასაგები მიზეზების გამო კომპანიები ამ ნაბიჯებისგან თავს იკავებენ. თვითმარქვიები წუხან, რომ ამის გამო დაკარგეს ისეთი პარტნიორები, როგორებიცაა „ბენეტონი“, იტალიური „კოკო აგრიფუდი“. აფხაზეთში ინვესტიციების ჩადება სურდათ ებრაულ კომპანიებსაც. ისინი სიტუაციის შესასწავლად ადგილზეც იყვნენ ჩასულები, მაგრამ ამის იქით საქმე წინ აღარ წასულა, რაშიც სეპარატისტები ბრალს ოფიციალურ თბილისს სდებენ, – აცხადებს დავითაია. თუმცა, მისივე განმარტებით, პრობლემები არ არსებობს რუსული ფირმებისთვის. ისინი აიგბას მთიდან ყოველგვარი კანონის გვერდის ავლით ეზიდებიან უიშვიათესი სახეობის მარმარილოს ქვას. გაგრაში წამოწყებული აქვთ სასტუმროების მშენებლობის ბიზნესი. კანონდარღვევით მოპოვებული ნედლი მასალა რუსეთისა და თურქეთის პორტებით გააქვთ.

თბილისთან ურთიერთობების დალაგების შესახებ პოლიტოლოგი, ისტორიკოსი გია ანჩაბაძე ამბობს, რომ აფხაზეთთან ეკონომიკური განვითარების ყველაზე დიდი შანსი გასული საუკუნის ბოლოს, 90-იანი წლების მიწურულს, შევარდნაძის პერიოდში იყო. დღეს მდგომარეობა, თუნდაც ამჟამინდელ პოზიციებამდე შეცვლისათვის სულ სხვაგვარია. ამისათვის სხვა პირობებია საჭირო, რისთვისაც არაფერი კეთდება, – ამბობს ექსპერტი.

**ზაზა ბილიხოძე**

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები დარჩებიან პოლონეთსა და ბალტიისპირეთში „რუსული აგრესიის“ გამო**

მიმდინარე წლის აპრილიდან პოლონეთში, ესტონეთსა და ლიტვაში არის 600 ამერიკელი მედესანტე. თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ ამერიკელი ჯარისკაცები იქნებიან პოლონეთის ტერიტორიაზე და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში 2014 წლის ბოლომდე. ბალტიის ქვეყნები და პოლონეთი ადრე გამოთქვამდნენ სურვილს, რომ სამხედროები დისლოცირებული ყოფილიყვნენ რეგიონში მუდმივ საფუძველზე.

**გამოკითხვა: გერმანიის მოქალაქეთა 39 პროცენტი გამოვიდა იმ მოსაზრებით, რომ ყირიმი რუსეთის ნაწილია**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრებთა 48 პროცენტი მიიჩნევს, რომ ყირიმი არ შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთისად. როდესაც ვლადიმერ პუტინის მიერ განხორციელებულ საგარეო პოლიტიკას აფასებდნენ, გამოკითხულთა 54 პროცენტმა განაცხადა, რომ მას გერმანიის საფრთხედ მიიჩნევენ. 43 პროცენტი მოსკოვის მოქმედებებში ვერ ხედავს საფრთხეს თავისი ქვეყნისთვის. რესპონდენტების 19 პროცენტი გამოვიდა სანქციების გაფართოების მხარდაჭერით რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. 27 პროცენტმა მოუწოდა გააუქმონ ეს სანქციები.

**ნეპალის დასავლეთში ავტობუსის მდინარეში ჩავარდნის მსხვერპლი თითქმის 50 კაცი გახდა**

სულ ავტობუსში 75-ზე მეტი კაცი იმყოფებოდა. ათობით მათგანმა შეძლო დამოუკიდებლად გადარჩენილიყო და გამოეცურა ნაპირზე. ავარია მოხდა ნეპალის მთის რაიონ ჯაიარკოტში. სატრანსპორტო საშუალება ჩავარდა მდინარეში, როდესაც მძღოლმა გზა დაუთმო ტრაქტორს, რომელიც საპირისპირო მხრიდან მოდიოდა.

**პერუში იკვლევენ 500 ზღვის ლომის უცნაურ დახოცვას**



ადგილობრივი ხელისუფლება ეჭვობს, რომ ცხოველები მოწამლეს მეთევზეებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ზღვის ლომები ნადირობდნენ თევზებზე სანაპიროს მახლობლად. ეკოპოლიცია განიხილავს სხვა ვერსიებსაც, მაგალითად, დაღუპვას პლასტიკის შემთხვევითი ჩამოვარდნით. ყველაზე საგანგაშოა ვერსია, რომელიც დაკავშირებულია ზღვის ცხოველების მასობრივ დაღუპვასთან და საზღვაო რესურსების სერიოზულ უკმარისობასთან.

**ჩიკაგოში აფეთქების შედეგად ჩამოინგრა შენობა, არიან დაზარალებულები**

შემთხვევა მოხდა დაახლოებით საღამოს 7 საათზე ადგილობრივი დროით. 40 წუთის განმავლობაში მეხანძრეებმა შეძლეს ნანგრევებიდან ორი კაცის ამოყვანა. ერთი მათგანი სერიოზულად დაზარალდა, მეორის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ არის. მსხვერპლი არ ყოფილა. მომხდარის ზუსტი მიზეზი დგინდება.



◉ საავტომობილო გენია



# დიდი კონსტრუქტორის დიდი ბიზნესი

**1875 წლის 3 სექტემბერს მეთუნუქე ანტონ პორშეს ოჯახს ვაჟი შეეძინა. მას ფერდინანდი დაარქვეს. ეს ბოჰემიაში, პატარა სოფელ მაფერსდორფში მოხდა, დღევანდელ ჩეხეთში. ფერდინანდის მამა ცნობილი იყო, როგორც კარგი ოსტატი და დარწმუნებულიც გახლდათ, რომ ვაჟი მის საქმეს განაგრძობდა, ამიტომაც პატარაობიდანვე ასწავლიდა ხელობის საიდუმლოებებს.** ბიჭს არც ჭკუა აკლდა და არც შრომისმოყვარეობა, მაგრამ მამის სურვილს ახდენა არ ეწერა. ყმაწვილი ელექტრობით დაინტერესდა, რომელსაც მის სოფლამდე ჯერ ვერც მიეღწია. ერთხელ მამამ ვაჟს სხვენში შეუსწრო, როცა ის ელექტრობაზე ექსპერიმენტებს ატარებდა და გაბრაზებულმა მთელი ნამუშევარი გაუნადგურა. თუმცა საბოლოოდ ფერდინანდის დედამ დაარწმუნა მეუღლე და ბიჭს რაიხენბერგში საიმპერატორო ტექნიკურ სკოლაში სიარულის ნება დართეს. ფერდინანდმა მამას დაუმტკიცა, რომ სწორ გზაზე იდგა – სახლში ელექტროქსელი გაიყვანა და ნათურები აანთო. ეს სოფელში პირველი ნათურები იყო.

XIX საუკუნის დასასრულს ევროპაში ხელის სამუშაო ადგილს უთმობდა მექანიკურ შრომას, ცხენშებმული ურიკები კი თვითმავალ მექანიკურ ეტლებს – ავტომობილებს. ფერდინანდის ოცნება ავტომობილების შექმნა იყო. ტექნიკური სკოლისა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1898 წელს, ახალგაზრდა კონსტრუქტორმა ძალები ვენის ავტომწარმოებელ ქარხანა „ლოჰნერში“ მოსინჯა, სადაც საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელობდა. შვიდი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელმა შრომამ შედეგი გამოიღო. პირველმა დამოუკიდებელმა ნამუშევარმა, ძრავა-საბურავმა ელექტრომობილისთვის, 24 წლის ინჟინერს წარმატება და სახელი მოუტანა. ამან პორშეს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა შეჰმატა. 1906 წელს ის კომპანია „აუსტრო-დაიმლერის“ მთავარ კონსტრუქტორად დაინიშნა, სადაც მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე მოდელი შეიქმნა. 1909 წელს ფერდინანდს შეეძინა ვაჟი და მასაც მამასავით ფერდინანდი დაარქვეს. ამავე წელს პორშე უფლისწულ ჰენრიხ პრუსიელის პატივსაცემად გამართულ რალიში მონაწილეობდა. ის თავისი კონსტრუქციის სპორტული „აუსტრო-დაიმლერის“ საჭესთან იჯდა და მეორე ადგილმა თავმოყვარეობა ვერ დაუკმაყოფილა. მომდევნო წელს უფრო სრულყოფილი მოდელის საჭეს მიუჯდა და ფინიშთანაც პირველი მივიდა.

მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, 1914 წლიდან ჩეხეთში, „შკოდას“ ქარხანაში მუშაობდა. ახალგაზრდა გენიოსის მორიგი ქმნილებები იყო საარტილერიო საწევარი, ძრავები თვითმფრინავებისა თუ დირიჟაბლებისთვის და სხვა სამხედრო ტექნიკა. კაიზერმა ის ორდენით დააჯილდოვა – ჯვრით „დამსახურებებისთვის“. ფერდინანდის მოღვაწეობა „დაიმლერ ბენცში“ გაგრძელდა. ახალ სამუშაო ადგილზე მის მიერ დაპროექტებულმა პირველმა ავტომობილმა, „მერსედეს 360“-მა მაშინვე მიიქცია მდიდარი ადამიანების ყურადღება. შემდგომში პორშემ დიდი ძალისხმევა და ენერგია დახარჯა ლეგენდად ქცეულ სერიებზე – K და S. მისი იდეების დამაგვირგვინებელი კი მოდელები SS, SSK და SSKL გახდნენ.

სამეწარმეო წრეებში ფერდინანდ პორშემ დიდი სახელი მოიხვეჭა. 1924 წელს შტუტგარტის ტექნიკურმა აკადემიამ გამომგონებელს ტექნიკის მეცნიერებათა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

## ბრენდის დაბადება

**„დაიმლერ ბენცში“ პორშემ დაახლოებით ხუთი წელიწადს იმუშავა, შემდეგ კი მიიღო შეთავაზება ასევე მთავარი კონსტრუქტორის თანამდებობაზე ავსტრიული კომპანია „შტეირიდან“.** სწორედ იქ, მისი თაოსნობით, 1928 წელს ქვეყანას ორი საინტერესო ავტომობილი მოევლინა – „ავსტრია“ და „ტიპ XXX“. მაგრამ პორშემ შეიტყო, რომ „შტეირი“ კომპანია „აუსტრო-დაიმლერს“ უნდა შერწყმოდა. უკვე დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე, 56 წლის ფერდინანდ პორშემ გადაწყვიტა, რომ საკუთარი ნაშრომით თვითონ ესარგებლა.

ახალი კომპანია DR.ING.H.C.F.PORSCHE შტუტგარტში 1931 წლის 25 აპრილს გაიხსნა. მისი სრული სახელია „ტექნიკის მეცნიერებათა საპატიო დოქტორ ფერდინანდ პორშეს საკონსტრუქტორო ბიურო ძრავების, ავტომობილების, თვითმფრინავებისა და ხომალდების შესაქმნელად“. კომპანიას დღემდე ასე ეწოდება. წლების განმავლობაში მოპოვებულმა ავტორიტეტმა თავისი როლი შეასრულა და პორშეს შეკვეთები მოუმრავლდა. და მანაც არაერთი მნიშვნელოვანი გამოგონებით უპასუხა. 1931 წელს პორშეს ეკონომიური სახალხო ავტომობილის, „ფოლკსაუტოს“ შემუშავება დაუკვეთეს. დამზადდა სამი ეგზემპლარი. მანქანა სახელგანთქმული „ხოჭოს“ პროტოტიპი გახდა. ისტორიკოსებისა და ბიოგრაფების მტკიცებით, პორშეს მხოლოდ ეს მანქანა რომ შეექმნა, ისტორიაში დასარჩენად ესეც ეყოფოდა.

ფერდინანდის ახალმა სარბოლო ავტომობილმა 1934 წლიდან 1937 წლამდე მრავალი რეკორდი დაამყარა ევროპის სარბოლო ტრასებზე. პორშე-უფროსი მუშაობდა ტრაქტორებისა და ქარის ძრავებზე. 1934 წელს მან წინადადებით მიმართა გერმანიის ტრანსპორტის სამინისტროს, შეექმნათ სახალხო ავტომობილი „ფოლკსვაგენი“.

ადოლფ ჰიტლერმა პორშეს იდეაში მომგებიანი პროპაგანდისტული სვლა დაინახა. 1935 წლის შემოდგომაზე გერმანიის ქუჩებში ავტომობილების პირველი პროტოტიპები გამოჩნდა. კიდევ ერთი წლის შემდეგ პორშეს დაუკვეთეს ქარხნის კონსტრუქცია „ფოლკსვაგენების“ წარმოებისთვის. ფერდინანდს შეკვეთები სხვაც მრავლად ჰქონდა, ამიტომ 1938 წელს შტუტგარტში გადავიდა საცხოვრებლად, იქ უკვე მოქმედებდა არცთუ დიდი ქარხანა, რომელიც ავტომობილების პროტოტიპებს აწარმოებდა.

## კონსტრუქტორის ომი

**წელიწადნახევრის განმავლობაში გამართულმა წარმოებამ 1940 წელს არა სახალხო, არამედ სამხედრო ავტომობილი KDF-ი („კრაფტ დურხ ფროიდე“ – „სიხარული ძალისგან“) გამოუშვა. 1945 წლამდე ამზადებდნენ ჯიპებს, სამეთაურო ავტომობილებს, ამფიბიებს.** მთელი წარმოება ფრონტისთვის მუშაობდა. ომის დროს პორშე თავის საკონსტრუქტორო ბიუროსთან ერთად მონაწილეობდა „სიკვდილის იარაღის“ შექმნაში. სხვა გამოჩენილ კონსტრუქტორებთან ერთობლივი მუშაობის შემდეგ, წარმოებაში ჩაუშვეს ტანკები „ვეფხვი“ და „პანტერა“, თვითმავალი მოწყობილობა „ფერდინანდი“. მოგვიანებით შექმნეს უფრო მძიმეწონიანი მოდელები, მაგალითად, „სამეფო ვეფხვი“. იყო კიდევ ერთი ექსპერიმენტული ურჩხული, 170-ტონიანი ტანკი „მაუსი“. მაგრამ არც ის და არც რომელიმე „ვეფხვთაგანი“ პორშეს ცხოვრებაში მთავარი მოვლენა არ ყოფილა.

ომის დასრულების შემდეგ, პორშეები ომამდელი თუ ომისდროინდელი წარსულის გამო არასაიმედოდ შერაცხეს. 1945 წლის დეკემბერში მამა-შვილი ფრანგულ ციხეში აღმოჩნდნენ. ვაჟმა ფერდინანდმა (ფერიმ), რომელიც 1946 წლის მარტში გაათავისუფლეს, იტალიაში ახალი შეკვეთები მიიღო და იმ ფულით მამამისი დაიხსნა. გზად შინისაკენ კონსტრუქტორი დიდად გაახარა ცნობამ, რომ მისი საყვარელი პირმშოს, „ფოლკსვაგენის“ წარმოება უკვე მუშაობდა, თუმცა, ვოლსბურგის ქარხანაში თავისი კონსტრუქტორები ჰყავდათ და ფერდინანდის დახმარება აღარ სჭირდებოდათ.

კომპანიამ სპორტული ავტომობილების სრულყოფა განაგრძო. 1948 წელს პატარა სახელოსნოს ჭიშკრიდან პირველი „პორშე 356“ გამოვიდა, რომელიც პორშე-უფროსის მემკვიდრის, ფერდინანდ პორშე-უმცროსის მიერ იყო შექმნილი. 1950 წლის 3 სექტემბერს, პორშე-უფროსის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მას შავი „პორშე 356 კუპე ფერდინანდი“ უსახსოვრეს. ერთი წლის შემდეგ კონსტრუქტორი გარდაიცვალა. ის პატარა ავსტრიული ქალაქის, ცელ-ამ-ზეეს სასაფლაოზე დაკრძალეს. მსოფლიო ლეგენდის საქმე მისმა ვაჟმა და სეხნიამ განაგრძო. მაგრამ ეს უკვე სხვა, არანაკლებ საგულისხმო ისტორიაა. ფერი პორშე სიცოცხლის ბოლომდე, 1998 წლამდე, კომპანიის მართვაში აქტიურად მონაწილეობდა... დღეს ვაიზახის კვლევით ცენტრში მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები არა მარტო „პორშეს“ ავტომობილებს ქმნიან და ცდიან, არამედ მანქანებსა და კონცეფციებს სხვა ავტომწარმოებლებისთვისაც.

◉ ეკონომიკური ანალიზი

# მოგება მეტი იქნება თუ წაგება?

(მეოთხე გვერდიდან) შესაბამისად, ამ სამომხმარებლო სეგმენტიდან საქართველოში ტურისტული ნაკადი შემცირდება 100 000-მდე ვიზიტორით ყოველწლიურად. ჩვენი პროგნოზით, გრძელვადიან პერიოდში ციფრი საკმაოდ მნიშვნელოვანი გახდება. ძნელია, გამოვთვალოთ ტურისტული დანაკარგები იმ 94 ქვეყნიდან, რომელთათვისაც გართულდა გრძელვადიანი ვიზის მიღების პროცედურა, ვინაიდან ოფიციალურ მონაცემებში არ არის გამიჯნული ვიზიტორები ქვეყანაში დარჩენის პერიოდის მიხედვით.

მეორე დამაბრკოლებელი ფაქტორი, რაც ზეგავლენას ახდენს ტურისტის გადაწყვეტილებაზე, იმოგზაუროს თუ არა კონკრეტულ ქვეყანაში, არის ვიზის საფასური. ზემოაღნიშნულ კვლევაში განხილულია აშშ-ის მაგალითი, რომელსაც ქვეყნების 80%-თან სავიზო რეჟიმი აქვს და ვიზის საფასური ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. მიუხედავად ამისა, აშშ ახერხებს საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილისა და საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით პირველი ადგილის მყარად შენარჩუნებას. კვლევის გამოთვლების საფუძველზე, თუ აშშ EOTF-ს გაზრდის 19,79-დან მაქსიმალურ შესაძლებლობამდე, 100 ქულამდე, შტატებში ტურისტული ვიზიტები 120%-ით გაიზრდება. ამით აშშ მიიღებს დამატებით 84 მილიონამდე ვიზიტორსა და 168 მილიარდამდე შემოსავალს ყოველწლიურად. ტურიზმიდან მიღებული არაპირდაპირი შემოსავლების გათვალისწინებით კი ეს თანხა 200 მილიარდამდე გაიზრდება. თუმცა, მას ამ ეტაპზე ტურისტების დეფიციტზე მეტად უკონტროლო მიგრაციისა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემები აქვს. ამიტომ, ქვეყანა არ საჭიროებს განსაკუთრებულ ზომებს ვიზიტორების რაოდენობის გაზრდისთვის. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, სავარაუდოდ, საქართველოს ვიზის 50 აშშ დოლარამდე გაზრდა მნიშვნელოვან დანაკარგს მოუტანს ქვეყანას ტურისტული აქტივობის თვალსაზრისით, ვინაიდან მისი საფასური ევროკავშირის ქვეყნების სავიზო მოსაკრებელსაც კი აღემატება.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, სავიზო პოლიტიკის გამკაცრებისკენ მიმართული ქმედება განპირობებული იყო მიგრაციის პოლიტიკის დარეგულირებისა და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების დაკმაყოფილების საჭიროებებით. თუმცა გაურკვეველია, რატომ უნდა წარმოადგენდეს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის აღდგენა ევროკავშირი-საქართველოს სასაუბრო თემების მნიშვნელოვან ნაწილს. საქართველოს ევროკავშირთან პირდაპირი სახმელეთო კავშირი არა აქვს და რომც ჰქონდეს, ამერიკის კონტინენტის ქვეყნებიდან ევროპაში შესაღწევად საქართველოს არ იყენებენ, ვინაიდან პირდაპირი კავშირი აქვთ ოკეანის გავლით. არც მიგრაციის პრობლემა არის საქართველოში აქტუალური, ვინაიდან მიგრაციის სალდო უარყოფითია.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე, მიგრაციის სალდო 2012 წლის მონაცემებით არის – 21,5, ხოლო 2013 წლის მონაცემებით -2,6. მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოდან გაცილებით მეტი ადამიანი ემიგრირებს საზღვარგარეთ, ვიდრე ჩამოდის საქართველოში საცხოვრებლად. შესაბამისად, საქართველოსთვის მიგრაციის პოლიტიკა ამ ეტაპზე სასწრაფო წესით რეგულირებას არ საჭიროებს.

დასასრულს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით, ხელისუფლება სწორედ ტურისტების რაოდენობის გაზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის წინაპირობას წარმოადგენს. ტურიზმის განვითარების ამ ეტაპზე, სამთავრობო და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიდან, საქართველოში სავიზო რეჟიმის გამკაცრებისა და საფასურის შემოღების გასამართლებლად იმ არგუმენტის მოყვანა, რომ აშშ-ში ტურისტული ნაკადებისთვის იგივე სავიზო პოლიტიკა დამაბრკოლებელ ფაქტორს არ წარმოადგენს, ძალიან შეუსაბამოა. ამ ორ ქვეყანას ვერ შევადარებთ ერთმანეთს მათი ტურისტული რესურსებითა და მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე პოზიციონირებით, ვერც ეკონომიკური განვითარების დონითა და ქვეყნის დღის წესრიგში არსებული პრობლემებით.

**FORBES**

### სამბო

# რვა ჯილდო და გუნდური ვერცხლი



**2-2 „ოქრო-ვერცხლი“ და 4 „ბრინჯაო“ — ასეთი ნადავლით ბრუნდებიან ჩვენი ფალავნები იაპონიიდან, სადაც სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრებაში 80 ქვეყნის 600-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.**

ქართველთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გენადი ჩირგაძე (52 კგ) და ვახტანგ ჩიდრაშვილი (57). საგულისხმოა, რომ ჩიდრაშვილი ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ფინალში მან რუს აიმერგენ ატკუნოვს აჯობა, მანამდე კი კანადელი ადამ მაკფადინი, იტალიელი ვალტერ ბაკინელი, სომეხი არმენ ანტონიანი და ტაჯიკი ახმალიდინ კარიმოვი ჩამოიშორა გზიდან. ჩირგაძემ პირველ წრეში რუს ვასილი კარაულოვს მოუგო, მერე მის გზას გაუყენა ბელარუსი ჯამბულატ ახმადოვი და ყაზახი ბაიმბეტ კანზანოვი, ხოლო ფინალში აზერბაიჯანელ აგასიფ სამადოვს აჯობა.

საქართველოს დელეგაციას ვერცხლის მედლები ნინო ოძელაშვილმა (72 კგ) და მსოფლიოს პირველობის შარშანდელმა გამარჯვებულმა ლევან ნახუცრიშვილმა (68) მოუტანეს. ლევანს ზედიზედ მეორე ჩემპიონობისკენ გზა მონღოლმა ტუმურკულეგ დავააადორჯმა გადაუღობა, მანამდე კი ჩვენებურმა ბულგარელი მარტინ ივანოვი, სომეხი მარტინ მირზოიანი, იაპონელი კოტა ეტო და უკრაინელი კირილ მელნიჩენკო დაამარცხა. ოძელაშვილმა ნახევარფინალში უკრაინელთა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ტატიანა სავჩენკოს სძლია, თავად კი გადამწყვეტ პაექრობაში რუსთა დებიუტანტ ირინა ალექსეევას დანებდა.



რაც შეეხება ბრინჯაოს მედლებს, ეს ჯილდოები ბესიკ ბერულავამ (74), ნიკო კუციამ (82), დავით კარბელაშვილმა (90) და დავით ლორიაშვილმა (100) დაიმსახურეს. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა რუსების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

**თამაზ პატარაია**

### რაგბი

# ნოემბრის ტესტები მოგებით დაასრულეს

**ორი წლის წინათ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები იაპონიის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა, ამიტომ გიორგობა დღეს „ბორჯღალოსნები“ რევანშის წყურვილით გავიდნენ მოედანზე და მსოფლიო რეიტინგით მე-10 ადგილზე მყოფ ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებს აჯობეს. საგულისხმოა, რომ ჩვენმა ბიჭებმა შარშან მერვეადგილოსან სამოასაც სძლიეს 16:15.** წლევანდელ ნოემბრის ტესტებს საქართველოს ნაკრები დანაკლისით შეხვდა. ვერც იაპონიასთან საპარეზოდ მოიყარა თავი ოპტიმალურმა შემადგენლობამ. ამის მიუხედავად, მასპინძლებმა ოსტატობით, ჟინითა და გამარჯვების წყურვილით სასურველ შედეგს მიაღწიეს. მატჩის პირველ წუთებზე გუნდის კაპიტანმა დავით კაჭარავამ ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. ამგვარმა დასაწყისმა „ბორჯღალოსნებზე“ ზეგავლენა ვერ მოახდინა, პირიქით, ერთ მუშტად შეკრული გუნდი ჯიქურ უტევდა და მე-20 წუთისთვის 12:0-იც დაწინაურდა, ტაიმი კი 17:10 მოიგო. მასპინძლებს ინიციატივა არც შესვენების შემდეგ გაუშვიათ ხელიდან და 18 ქულითაც (35:17) გავიდნენ წინ. ცხადია, 15 ქულაზე მეტი სხვაობით მოგება რეიტინგშიც დამატებით ქულებს მოგვიტანდა, მაგრამ „ბორჯღალოსნები“ მატჩის მიწურულს მოეშვნენ, რითაც ისარგებლეს სტუმრებმა და ლელო-გარდასახვით ანგარიშში სხვაობა 11 ქულამდე შეამცირეს — 35:24. საქართველოს ნაკრები მომდევნო შეხვედრას 2015 წლის თებერვალში ევროპის ერთა თასზე გერმანიის წინააღმდეგ სტუმრად გამართავს.




**შმაგი იმედაძე**

### ფარიკაობა

# რუსული „ბრინჯაო“ — შენგელიას

**გასულ უქმეებზე მოსკოვმა ჭაბუკ მოფარიკავეთა ევროპის თასის ეტაპს უმასპინძლა. შეჯიბრებაში 6 ქართველი მოხმალავეც მონაწილეობდა. თავი გამოიჩინა ნიკა შენგელიამ. ქართველმა მუშკეტერმა ჯგუფში ხუთი რუსი დაჯაბნა:** იაროსლავ სიდოროვი (5:4), მიხაილ აგაფონოვი (5:4), ნიკიტა ინკოვი (5:3), დანიილ ჟირნოვი (5:2) და ანდრეი ტკაჩევი (5:1). პლეი ოფში მან ჯერ მიხაილ კლიუკინს (რუსეთი) აჯობა — 15:11, მერე მის თანამემამულე პროხორ სვიტიჩს დააყრევინა ფარ-ხმალი — 15:6, მეოთხედფინალში ბელარუს კირილ კირპიჩაუს სძლია (15:13) და მხოლოდ ნახევარფინალური პაექრობა წააგო ერთი ჩხვლეტით (14:15) ტურნირის მომავალ გამარჯვებულ ანატოლი კოსტენკოსთან. საბოლოოდ ჩვენმა თანამემამულემ რუს ვლადისლავ პოზდნიაკოვთან ერთად ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. პირველ-მეორე ადგილებზე მასპინძლები — ანატოლი კოსტენკო და არსენი პანტელეევი გავიდნენ.



ქართველთაგან ვაჟა რევია და ოთარ გიორგაძე, შესაბამისად, 39-ე და 52-ე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

ევროპის თასის ეტაპზე ქართველმა გოგონებმა ჯგუფში ოთხოთხი შეხვედრა მოიგეს, მაგრამ პლეი ოფში ვერ იყოჩაღეს. საბოლოოდ ანა აფრასიძე მე-16 იყო, ხოლო ლიკა ჯიჯეიშვილმა და მარიამ აფციაურმა, შესაბამისად, 36-37-ე ადგილები გაიყვეს. **საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა:** 1. ალექსანდრა კლიმოვა, 2. ევგენია პოდპაშკოვა, 3. ოლგა ნიკიტინა (სამივე-რუსეთი) და ლუცია ლუკარინი (იტალია).

**ლექსო ცინცაძე**

### ჩოგბურთი

# გორგოძე პირველია, ბასილაშვილი – მეორე




**ანტალიაში გამართული ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) წყვილთა პაექრობაში ეკატერინე გორგოძემ და უკრაინელმა ალიონა ფომინამ ზედიზედ ოთხი დუეტი ჩამოიშორეს გზიდან, მათ შორის ნახევარფინალში — სოფიო ქვაცაბაიას და ქრისტინა შაკოვეცის (გერმანია, 6:3, 6:2) ტანდემი და ფინალში გავიდნენ, სადაც ასპარეზობის რეიტინგფავორიტები — ნატალია კოსტიჩი (სერბეთი) და შანთალ სკამლოვა (სლოვაკეთი) სერბის ტრავმის გამო კორტზე ვერ გავიდნენ და ქართულ-უკრაინულმა წყვილმა მთავარი პრიზი უბრძოლველად დაისაკუთრა.**

იტალიურ ანდრიაში დასრულებულ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 35.000 ევრო) წარმატებით ითამაშა თბილისელმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა.** ფინალამდე მან ზედიზედ სძლია მატეო ბერეტინის (იტალია, 7:5, 7:6), ულაძიმირ იგნატიკს (ბელარუსი, 4:6, 7:6, 6:4), კონსტანტინ კრავჩუკს (რუსეთი, 6:3, 6:4) და გადამწყვეტ პაექრობაში ლიტველ რიკარდას ბერანკისს შეხვდა. პირველი ხელი ლიტველმა 6:4 მოიგო. მეორეში ბალტიისპირელი 1:0 რომ დაწინაურდა, ქართველმა ჩოგბურთელმა ტრავმა მიიღო და ორთაბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ჩვენებური მეორე ადგილსა და 48 სარეიტინგო ქულას დასჯერდა.



**გივი გაგუა**

### წყალბურთი

# საგზურებისთვის ბრძოლა თებერვლიდან დაიწყება

**2016 წელს წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი უმასპინძლებს. მედლებისთვის 16 გუნდი იასპარეზებს.** წლევანდელი პირველობის რვა საუკეთესო ნაკრები (სერბეთი, უნგრეთი, იტალია, ჩერნოგორია, ხორვატეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, რუმინეთი) პირდაპირ არის დაშვებული დასკვნით ეტაპზე, დანარჩენ რვას კი ორრაუნდიანი შესარჩევი ეტაპი გამოავლენს. 15 გუნდი ოთხ ჯგუფშია განაწილებული:



A **ჯგუფი**. საქართველო, სლოვაკეთი, პორტუგალია, შვეიცარია (ტურნირი თბილისში გაიმართება).

B **ჯგუფი.** რუსეთი, უკრაინა, ისრაელი, პოლონეთი (მასპინძელია პოლონეთი).

C **ჯგუფი.** საფრანგეთი, მალტა, ჰოლანდია (გუნდები ტიტების ქვეყანაში გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას).

D **ჯგუფი**. გერმანია, თურქეთი, ბელარუსი, ლიტვა (ისინი თურქეთში იასპარეზებენ).

პირველი ეტაპის შეხვედრები 2015 წლის 6-8 თებერვალს გაიმართება ხოლო მე-2 რაუნდს რუსეთი, ისრაელი, საფრანგეთი და მალტა 9-11 ოქტომბერს უმასპინძლებენ.

**ლაშა დიდია**

### ჭადრაკი

# უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 72-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება, რომელშიც უმაღლესი ეშელონის ხუთი საგზურისთვის სხვადასხვა კუთხის 30 წარმომადგენელი იბრძოდა.** შვეიცარიული სისტემით გამართული ასპარეზობის 9 ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულით პირველ-მეოთხე ადგილებზე სოფიო გვეტაძე, ანა კუჭავა, მერი ჟორჟოლიანი და ალექსანდრა ვახანია გავიდნენ. 6 ქულით მე-5 ადგილი ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა მერი არაბიძემ დაიკავა. ასევე, 6 ქულით მეექვსე-მეშვიდე ადგილები ნატო იმნაძემ და სოფიო ნიკოლაძემ გაინაწილეს.

ქალთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალი გაისად გაიმართება.

**ვაჟა ნოსირელი**

# კარლსენმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა!



**ჭადრაკში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა მაგნუს კარლსენმა ტიტულის შენარჩუნება ვადაზე ადრე მოახერხა.** რუსეთის ქალაქ სოჭში მიმდინარე საჩემპიონო დაპირისპირებაში კარლსენს და ინდოელ ვიში ანანდს 12 პარტია უნდა ეთამაშათ, თუმცა, მას შემდეგ, რაც ნორვეგიელმა მე-11 პარტიაში იმარჯვა, ანგარიშში 6.5:4.5 დაწინაურდა და ბოლო ტურს აზრი დაუკარგა.

**ნატა ნიბლაძე**

### ინტერნეტიდან

# კრაუჩის ცოლის ანონსი

**თუკი ყველაფერი კარგად იქნა და ბრიტანეთის კუნძულს შტორმი და უბედურება არ დაატყდა თავს, დაახლოებით ერთ თვეში ვეტერანი ინგლისელი ფეხბურთელის პიტერ კრაუჩის სკანდალისტი ცოლი ები კლენსი ახალი და ორიგინალური ვარცხნილობით გააკვირვებს საზოგადოებას.**

ებიმ ბრიტანულ ბულვარულ მედიას განუცხადა, რომ მეგობართან სანაძლეო აქვს წაგებული და იძულებულია დაახლოებით ერთი თვის თავზე სილამაზის სალონს ესტუმროს და თმის ვარცხნილობა არც მეტი, არც ნაკლები, ქალის სარცხვენელის ფორმაზე შეაჭრევინოს.

**როსტომ რაჭველიშვილი**



პროექტი

# „საინვესტიციო დესანტი“ კოლხეთში



**როცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამომავლო პერსპექტივებზეა ლაპარაკი, ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები აღმავლობის ერთ-ერთ მძლავრ სამომავლო ბერკეტად ანაკლიაში, შავ ზღვაზე ახალი, ღრმაწყლოვანი სატვირთო ნავსადგურის ამოქმედებას ასახელებენ. ცოტა ხნის წინათ, მომავალ გრანდიოზულ პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის ვადა ამოიწურა. შესაბამისად, სამინისტროში შესულ განცხადებათა განმხილველი კომისიის პირველი სხდომაც გაიმართა.**

ანაკლიაში ახალი, წლიური 100-მილიონი ტონა ტვირთბრუნვის ნავსადგურის მშენებლობის ნებართვის მიღების პერსპექტივით სულ თორმეტი უცხოური კომპანია დაინტერესდა. საკონკურსო შერჩევის წესის მიხედვით, ეკონომიკის სამინისტრო მათგან რამდენიმეს ისეთს აარჩევს, რომელთა მიერ შეთავაზებული პირობები დამკვეთისთვის სხვებთან შედარებით უფრო მიმზიდველი აღმოჩნდება, მეორე ეტაპზე კი მათგან საუკეთესოს გამოსავლენად კერძო მოლაპარაკებებს გამართავს. ამჟამად არსებული ინფორმაციით, **ანაკლიაში ახალი სატვირთო ნავსადგურის მშენებლობა დაახლოებით 900 მილიონი დოლარი დაჯდება და ათ წელიწადში უნდა დასრულდეს**.

ახალი ნავსადგურის მშენებლობისთვის კონტრაქტორი კომპანიების შერჩევის პირველ სხდომას ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მრავალი მაღალი თანამდებობის პირი დაესწრო, მათ შორის, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი,** მისი მოადგილეები, შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე,** საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **ირაკლი კოვზანაძე,** ასევე ფინანსთა, იუსტიციის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებისა და ეკონომიკური საბჭოს წარმომადგენლები. კომისიის წევრებმა სხვადასხვა ქვეყნის თორმეტი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დახურული განცხადებების დეტალური შესწავლა დაიწყეს. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, შედგება კონკურსში მონაწილე კომპანიების მოკლე სია, ეგრეთ წოდებული „შორთ-ლაისტი“. მასში ის კომპანიები მოხვდებიან, რომლებიც ეკონომიკის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ. ამის შემდგომ, „შორთ-ლაისტში“ მოხვედრილ კომპანიებს კონკრეტული წინადადებების წარდგენის წინადადებები დაეგზავნებათ, რის მერე მათ სრულუფლებიან წარმომადგენლებთან სათანადო მოლაპარაკებები გაიმართება.

ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ანაკლიის სატვირთო ნავსადგურის მშენებლობაში მონაწილეობის მიღების მსურველი კომპანიების გეოგრაფია მეტად შთამბეჭდავია, რაც პროექტისადმი დიდ ინტერესს ადასტურებს. კერძოდ, **მომავალი მშენებლობის წარმოების სურვილი გამოთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელის, ბელგიის, სინგაპურის, ჩინეთისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს კომპანიებმა**. როგორც აღინიშნა, მეორე ეტაპზე ამ კომპანიების ეგრეთ წოდებული „მოკლე სია“ შედგება, რომელთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები მშენებლობის კონცეფციასა და გასაფორმებელი კონტრაქტის დეტალებზე შემდგომ გაიმართება.

ბატონი კვირიკაშვილის თქმით, მშენებლობის ტექნიკური და ფინანსური რესურსების ოდენობასა და მათი მობილიზების გზების დადგენას დაახლოებით ერთი წელი დასჭირდება. ანაკლიაში სატვირთო ნავსადგურის მშენებლობა რამდენიმე ფაზას მოიცავს, რომელთაგან სამწლიანი პირველი მონაკვეთი საქართველოში ტვირთების გადაზიდვის გაორმაგებას ითვალისწინებს. მშენებლობის დასრულების შემდეგ, ანაკლიის ნავსადგურის წლიური ტვირთბრუნვა, როგორც აღვნიშნეთ, 100 მილიონი ტონა იქნება.

ზემოთ ასევე ითქვა, რომ წინასწარი გათვლებით, ანაკლიაში ღრმა წყლიანი სატვირთო ნავსადგურის მშენებლობას დაახლოებით 900 მილიონ დოლარამდე ინვესტიციები დასჭირდება, მთლიანად ლოჯისტიკური და საწარმოო ზონების გამართვას კი — რამდენიმე მილიარდი, ხოლო პროექტი მთლიანად ათ წელიწადში უნდა დასრულდეს.

ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ანაკლიაში ახალი ნავსადგური კერძო ინვესტიციებით განხორციელდება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით თანხების გამოყოფა გათვალისწინებული არ იქნება.

**ნინო ალექსანდრია**

სანთელი

# ალექსანდრე ფოცხიშვილი



89 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **ალექსანდრე (საშა) ფოცხიშვილი** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თაობათა ღვაწლმოსილი აღმზრდელი, საქართველოს ენათმეცნიერების, ისტორიის საზოგადოების დამაარსებელი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, 12 მონოგრაფიისა და 150-ზე მეტი ნაშრომის ავტორი.

დღეს მისი სასუფეველში გარდასვლის მეორმოცე დღეა.

მან ქართული ენათმეცნიერული აზრი საერთაშორისო სივრცეში დაამკვიდრა. თვალსაჩინო შედეგების ლინგვისტი ხიბლიანი მიგნებების მქონე ფილოლოგიც იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომები ქართული გრამატიკული აზრის თაობაზე, ანტონ კათალიკოსის ღვაწლის წარმოჩენაზე, ქართულ ზმნაში უნებლიობის კატეგორიაზე; იგი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის უბადლო დამდგენლად ითვლებოდა...

ცინცხალი გონების, მუდამ ახლის მაძიებელი, ჭეშმარიტი მეცნიერი, უკიდეგანოდ თანამედროვე, ალღოიანი მკვლევარი, უმწიკვლო კოლეგა, სანიმუშო მეგობარი, უშურველი მასპინძელი, იდეალური მეუღლე, მამა, ბაბუა, ერთგული ნათესავი იყო...

და ყოველივე ამისთვის მას შესწევდა ძალა ქადილისა.

**სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის ლალი თენაძის სიძის**

**თემურ შენგელიას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

---

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი მოქალაქის**

**ნოდარ წკრიალაშვილის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას გამოხატავს მისი ოჯახის მიმართ.**

---

**ზურაბ მაჩაიძის ოჯახი მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს ბერდია და მალხაზ კუბლაშვილებს ძვირფასი მამის**

**ქიშვარდი კუბლაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ვეტა კაშია, ადა შენგელაია, ნინული ნინუა, იზა ბოლქვაძე, დოდო სანიკიძე, ედიტა ასათიანი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**როზიტა ვერბი-ფოცხიშვილი**

**დაკრძალვა 27 XI, მცხეთაში.**

ინფორმაცია

## საბაჟოზე აკრძალული მედიკამენტის შემოტანა სცადეს

**საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდა საქართველოს მოქალაქე მ.ჩ., რომელსაც საბაჟო დათვალიერებისას აღმოაჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერება „ფსევდოეფედრინის“ შემცველობის მედიკამენტი ACTIFED-47 მთელი და ერთი ცალი დამტვრეული (შეფუთვის გარეშე) აბი.**

## უვარგისი მარილი უკან დააბრუნეს

**შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართველოს ქუთაისის განყოფილებაში, კომპანიის მიერ იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული იყო თურქეთიდან შემოსული 26 280 კგ. მარილი.**

**დეკლარაციას განესაზღვრა წითელი დერეფანი. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული საქონელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. კერძოდ, მარილის ტენიანობამ, ნაცვლად დასაშვები ერთი პროცენტისა, 3,4 პროცენტი შეადგინა. საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნდა.**

დედაქალაქი

# ტროტუარებით მოსიარულეთა სევდიანი რომანი...

**თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე ავტოპარკინგების „მბრძანებელთა მბრძანებლის“ ნახევრადგასაიდუმლოებული „სითი პარკის“ წყალობით, გაჭირვებულ ფეხით მოსიარულეებს ტროტუარების დიდი ნაწილი ქალაქის ცენტრში დიდი ხანია „აგვახიეს“.**

ცოტა ხნის წინათ, რუსთაველის პროსპექტის თავში, ძველი ფოსტის წინ, იქ, სადაც ახლა კაფე „ვენდისი“ და სუპერმარკეტი „სმარტია“, ზედ ტროტუარზე — „ჩეხური ერთოთახიანი ბინისხელა, შავი ყველგანმავალი მანქანით სამ კაცს ერთი კლოუნივით შეღებილი დედაკაცი მოგვადგა, ჯერ შორს მანათობელი შუქებით დაგვაბრმავა, მერე ხმოვანი სიგნალით დაგვაყრუა, ბოლოს კი გზის დათმობის მოთხოვნით კაი „ქუჩური ბაზარიც“ გაუშვა — გაიწიერა, ვერ ხედავ, მოვდივარო! ისე, კაცმა რომ თქვას, ამ ადგილას ყველაფერი შეიძლება მოხდეს, რადგან იქ მარტო ასეთი ათასფერნაცვალი „დამოჩკები“ კი არ დააგელვებენ თავიანთ „პიპიებს“, იქვე ავტოსადგომიც „გაუკუჭკუჭეს“ მზრუნველმა „სითიპარკელმა“ ძიებმა, თანაც ამაში ხარკის ამკრეფი ერთი კი არა, ორი „ნოქარიც“ მიუჩინეს.



ასე ხდება ქალაქის უკლებლივ ყველა უბანში, მრავალ ცენტრალურ ქუჩაზე, რის თაობაზე საჯაროდ ლაპარაკი არაერთხელ გვქონია, მაგრამ „სითი პარკს“ ჩვენ კი არა, როგორც ჩანს, დედაქალაქის მერიაც ვერ უმკლავდება ხეირიანად.

თუმცა, დღევანდელი აღშფოთების მიზეზი ოდნავ სხვა გახლავთ, რადგან ახლა უკვე არა ნებადართულ ავტოპარკინგს, არამედ, უბრალოდ, მანქანის თავხედურ, ბოდიში და „ფეხზემკიდია“ გაჩერებას გვინდა მივაქციოთ თქვენი და, რაც მთავარია, საპატრულო სამსახურის თანამშრომელთა ყურადღება. ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ, საიდანაც ჟურნალისტები სააკაშვილის ნუქერებმა რამდენიმე წლის წინათ სულ კისრისტეხით გამოგვყარეს, ახლა, მოგეხსენებათ, სასტუმრო „რუმს ოტელი“ იდებს ბინას, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რის გამოც კოსტავას ქუჩის ნაწილი საგანგებოდაა შემოღობილი. ღობის შიგნით მოხერხებული მძღოლები მანქანების გაჩერებას მაინც ახერხებენ, მაგრამ ამ შავი სედანის მფლობელმა ვაჟბატონმა, ჩვენი ულტრათანამედროვე ტელეწამყვანები რომ იტყვიან, „ყველანი დაიკიდა“ და თავისი „ბედაურით“ ტროტუარი ერთიანად გადაკეტა. იმის ჩამდენმა იქვე გამოთქმულ შენიშვნებს ყური რომ არ ათხოვა და „ვიღაც ჩმორების“ აღშფოთებას ყურადღება რომ არ მიაქცია, ეს სულაც არ არის გასაკვირი — ამის გამკეთებელს არც ოჯახის, არც სკოლის, მით უმეტეს, არც ქალაქის აღზრდა არაფერში რომ არ ეტყობა, ხომ ცხადზე ცხადია, გასაოცარი ისაა, რომ რამდენიმე საათის მანძილზე ამაზე რეაქცია საპატრულო პოლიციის არცერთ განწესს არ მიუქცევია!

არადა, აბა, სცადეთ და პატრულის თვალთახედვის არეში თუნდაც ათი მეტრით გაიარეთ ღვედის გარეშე — 40-ლარიან ჯარიმას არ ასცდებით, გვერწმუნეთ, თანამოქალაქენო!

**დავით მერიშვილი**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ჩვენი კარაბადინი

# კარგი განწყობილების ხილი

## რა სარგებელი მოაქვს ხურმას?

**გეუფლებათ** სევდა, როდესაც მოქუშულ ზეცას უმზერთ და თოვლ-ჭყაპი გიყურებთ ფანჯრიდან? რა მოხდება, თუ მივირთმევთ... ხურმას?

**ჩართეთ თქვენთვის ჩვეულებრივ მენიუში ეს ნარინჯისფერი ხილი, რომელიც თავისი მზისებრი ფერით და სასიამოვნო გემოთი შეგძენთ ენერგიას, შეგიქმნით კარგ განწყობილებას, აგიმაღლებთ სიცოცხლის ტონუსს, გაგიკაჟებთ ჯანმრთელობას.**

### კმაყოფილების წყარო

**ხურმა — ბუნებრივი ანტიდეპრესანტია, რომელსაც შეუძლია მოგიხსნათ ნერვული დაძაბულობა, დაძლიოს სეზონური დათრგუნვილობა, გაგიუმჯობესოს განწყობილება. ფარსის ენაზე ეგზოტიკური ხილი „ფინიკურ ქლიავს“ ნიშნავს, ვინაიდან გამხმარი ხურმა გემოთი ფინიკს მოგვაგონებს. იგი განსაკუთრებით მდიდარია მაგნიუმითა და იოდით, ნაყოფიერად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და ფარისებრ ჯირკვალზე —ჩვენი კარგი განწყობილების წყაროდ რომ ითვლებიან.**



ხურმის მწიფე რბილობში არის სასარგებლო ნახშირწყლების — გლუკოზისა და ფრუქტოზის —20-25 პროცენტამდე. მათ ადვილად ითვისებს ორგანიზმი, ისინი ენერგიისა და სათბობის მეტად მნიშვნელოვანი წყაროა მაღალი შრომისუნარიანობისთვის. სხვათა შორის, ნახშირწყლები, რომლებიც ამ ხილის შემადგენლობაში შედიან, ახდენენ ტვინში კმაყოფილების ჰორმონების — ენდორფინების გამომუშავების სტიმულირებას. წამყვანი მეცნიერები დარწმუნებული არიან: ენდორფინებს შეუძლიათ არა მხოლოდ გაგვიუმჯობესონ განწყობილება, არამედ გაგვიმტკიცონ იმუნიტეტიც, დაგვიცვან გაციებისგან და გრიპისგან, რომელთა „გასეირნებაც“ სწორედ შემოდგომა-ზამთრის პერიოდზე მოდის. თურმე, როდესაც ძალიან კარგ სულიერ განწყობილებაზე ვართ, ჩვენ ორგანიზმში იზრდება იმ უჯრედების დონე, რომლებიც ანადგურებენ დაავადების წარმომქმნელ ვირუსებს.

### თვალებისა და კანისთვის

**მწიფე ხილის ნარინჯისფერი აიხსნება მათში შემღებავი პიგმენტის ბეტა-კაროტინის, პროვიტამინ ა-ს მაღალი შემცველობით. ბეტა-კაროტინის სიმდიდრით ხურმას შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ორგანიზმისთვის მეტად სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ ნივთიერების ძირითად მიმწოდებლებს — პამიდორს, გოგრას და ტკბილ წიწაკას.** კუჭ-ნაწლავსა და ღვიძლში ბეტა-კაროტინი ვიტამინ ა-ს აქტიურ ფორმად გადაიქცევა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საღამოს (ღამის) და ფერითი მხედველობის გაუმჯობესებაში, დადებით გავლენას ახდენს თვალის რქოვანაზე, თავიდან გვაცილებს ავიტამინოზებს, შესანიშნავად აღადგენს ძალებს გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის დროს, უზრუნველყოფს კანის საფარის ჯანსაღ და აყვავებულ შესახედაობას.

მეცნიერებს მიაჩნიათ: მათ, ვინც არ მოიხმარს კაროტინის შემცველ პროდუქტებს, სხვებზე ადრე უვითარდებათ არა მხოლოდ კონიუნქტივიტი და ქათმის სიბრმავე, არამედ გლაუკომაც. ამ დაავადებათა პროფილაქტიკისთვის სეზონზე მიირთვით 1-2 ნაყოფი დღეში, რათა დაიკმაყოფილოთ ორგანიზმის სადღეღამისო მოთხოვნა რეტინოლზე — მხედველობის ამ გამაძლიერებელ ნივთიერებაზე.

უფრო მეტიც, კაროტინს აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები და, თანამედროვე გამოკვლევების თანახმად, შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას. ეს ნივთიერება ზრდის ორგანიზმის დაცვით ძალებს, ახდენს სისხლწარმოქმნისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესების რეგულირებას, ნაყოფიერ გავლენას ახდენს გულის კუნთებსა და სისხლძარღვებზე.

### მთელი ზამთრისთვის

**ხურმა მთელი ზამთარი ჩვენთანაა, გვახარებს თავისი ნაზი გემოვნებით და ამდიდრებს რაციონს სასარგებლო ნივთიერებებით. ნუ გამოტოვებთ შესაძლებლობას, გაალამაზოთ თქვენი მენიუ წვნიანი ხურმის კერძებით.** ახალი ხილისგან შეგიძლიათ, მოამზადოთ გემრიელი დესერტები, კოქტეილი, პიკანტური სოუსები, სხვადასხვაგვარი სალათები, ღვეზელები ჩვეულებრივი შიგთავსით. მწვანე და მაგარი ხურმა შეიძლება გავახმოთ კიდეც. სხვათა შორის, გახმობის დროს ნაყოფის მწკლარტე გემო ქრება. ამ ხილის გახმობა უმჯობესია კანის გარეშე, უნდა დავჭრათ და გამოვაშროთ გახურებულ ჰაერღუმელში.

### მნიშვნელოვანია ვიცოდეთ

**ხურმა უარყოფითი მაჩვენებლით ხასიათდება ქრონიკული გასტრიტითა და კუჭის წყლულით დაავადებულთათვის.**

არ ღირს, რომ დიდად გაიტაცონ ამ ხილმა დიაბეტით დაავადებულები და ადამიანები, ვისაც სიმსუქნისკენ აქვთ მიდრეკილება.

### ვიქონიოთ მხედველობაში

- **მუქი ნარინჯისფერი სქელი კანი, გამომშრალი ბოლო, წვნიანი და გემრიელი რბილობით — ესაა მწიფე ნაყოფის „ნიშნები“. თამამად შეიძინეთ ასეთი ხილი.**
- **ხურმის მოყვითალო-ნარინჯისფერი დაუმწიფებელი ნაყოფი გამოირჩევა მწკლარტე გემოთი. მის შემადგენლობაში შემავალი სათრიმლავი ნივთიერების (ტანინის) გამო.**
- **მის ნაირსახეობას მუქი წითელი რბილობით ე.წ. „კოროლიოკს“ ან შოკოლადის ხურმას უწოდებენ. იგი უფრო ტკბილია და კარგავს თავის სიმწკლარტეს დამწიფებამდე დიდი ხნით ადრე.**
- **ნუ შეინახავთ ხურმას ოთახის ტემპერატურაზე: იგი სწრაფად გადამწიფდება და კარგავს სასარგებლო თვისებებს.**

## რისკის ჯგუფში ნევროტიკებია

**ტემპერამენტიან ქალებში ალცჰეიმერის დაავადების რისკი 2-ჯერაა გაზრდილი, აჩვენა შვედი მეცნიერების ახალმა გამოკვლევამ.**

ისინი თვალყურს ადევნებდნენ 800 ქალისგან შემდგარ ჯგუფს 38 წლის განმავლობაში. გამოკვლევის დაწყების წინ ყველა ქალმა გაიარა ტესტი მათი ტემპერამენტის დონის განსაზღვრაზე ნევროტიზმის შკალით, რომელმაც აჩვენა ასევე, თუ რამდენად აქვთ მათ განვითარებული შეშფოთება და დანაშაულის გრძნობა.

ექსპერიმენტის დასაწყისში მონაწილეთა საშუალო ასაკი 46 წელი იყო. 38 წლის განმავლობაში ქალების 19 პროცენტს დემენციის ნიშნები გაუჩნდა. იმ ქალბატონებს ნევროტიზმის ყველაზე მაღალი დონით, რომლებიც იყვნენ დაციკლებული თავიანთ გარეგნობაზე, ეჭვიანები და ფეთქებადი ხასიათისა, ალცჰეიმერის დაავადება უჩნდებოდათ ორჯერ უფრო ხშირად.

მკვლევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ დემენციის განვითარების რისკს ზრდის სტრესი და ნევროტიკული მოშლილობა. ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ძლიერი ნერვული განცდები საშუალო ასაკში.

ფაქტს კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ზაქარიაძე:

— ალცჰეიმერის დაავადების განვითარების რისკის ფაქტორებს ამჟამად აქტიურად სწავლობენ, გაჩნდა ბევრი ახალი ინფორმაცია. საინტერესოა მონაცემები ნევროტიზმის დონის კავშირის შესახებ დაავადების წარმოქმნის რისკთან, თუმცა, მოითხოვს დადასტურებას შემდგომ კვლევებში. 800 დაკვირვება საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ყველაფერი დასრულებულად ჩათვალო. ამიტომ გარკვეულწილად საუბარი, რომ დადგენილია კავშირი, ჯერჯერობით ნაადრევია.

მკურნალი წინდები

## ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

**თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.**

**ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!**



**წინდები ჩვეულებრივად ნელთბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.**

**შესაძენად დარეკეთ 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუკური.**

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

— **თქვენი** ავადმყოფობის მიზეზი ალკოჰოლია.
— თქვენ პირველი ექიმი ხართ, ვინც მთელ ბრალს მე არ მდებს.

* * *

— **ქალები** არ მნებდებიან...
— გინდა, კარგი ფსიქოლოგის ნომერი მოგცე?
— მომეცი.
ერთი კვირის შემდეგ:
— აბა, რა ჰქენი, იყავი ფსიქოლოგთან?
— ვიყავი.
— მერე?
— არც ის დამნებდა...

* * *

— **რა** სიმაღლისა ხარ?
— 145-ის.
— როგორი პატარა პრინცესა ხარ. რამდენს იწონი?
— კიდე უფრო ნაკლებს, 120-ს.

* * *

**ორი** ნიანგი საუბრობს:
— როგორ ინადირე?
— ორი ზანგი შევჭამე. შენ?
— მე — ერთი რუსი.
— იტყუები.. აბა, ამოისუნთქე!



* * *

— **იცოდე,** უკანასკნელად გეკითხები, როდის დამიბრუნებ ვალს?
— მადლობა ღმერთს, რომ აწი აღარ დამისვამ ასეთ სულელურ კითხვებს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24